140
1990

100-2

ISSN 0868—5177

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნაკადული




12
1990

# თუ სიყვარული არა გვაქვს გულში

ნანა ფავლენიშვილი

უკან რჩება თბილისი და თითქმის მაშინვე გამოჩნდება მტკვრის ორივე ნაპირზე გადაშლილი რუსთავი, ჩვენი რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის ცენტრი, ახალგაზრდა ქალაქი. ორმოციან წლებში ამ უდაბურ ადგილას ქარხნებსა და სახლებს მევენახის, მებაღისა თუ მეცხოველის შვილები და შვილიშვილები აშენებდნენ. მშენებლის პროფესიასთან ერთად მათ მეტალურგის, ქიმიკოსის, მანქანათმშენებლის პროფესიებიც აითვისეს. პროფესიების დაუფლება ახლაც გრძელდება...

ქალაქის ერთ მყუდრო ეზოში ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული მოსწავლე ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების ცენტრს უჭირავს. მყუდრო ეზოში-მეთქი, ვთქვი, თუმცა მოსწავლეთა ცხოვრება აქ არასოდეს ყოფილა მყუდრო და ერთფეროვანი, პირიქით. ფუტკრებივით შესევიან ბავშვები თავიანთ სამუშაო ადგილებს, ზოგი ძერწავს, ზოგი მოდელს ჩაჰკირკიტებს, ზოგიც კომპიუტერს მისჯდომია.

ჩემი თანამოსაუბრე, ბატონი ოთარ კიტეიშვილი, ცენტრის დირექტორი, ხალისით მიყვება მოზარდთა საქმიანობაზე, მათ სადღეისო თუ სახვალიო გეგმებსა და პრობლემებზე:

— ნორჩ ტექნიკოსთა სადგური (უწინ მას ასე ეწოდებოდა) 32 წელია არსებობს. მის წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა ყოფილმა დირექტორმა, ბატონმა ვასილ გვენცაძემ. ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, დავაკმაყოფილოთ და განვამტკიცოთ ახალგაზრდებში ტექნიკისა და მეცნიერებისადმი აღძრული ინტერესი, განვუვითაროთ მათ თავისუფალი ტექნიკური აზროვნება, ინიციატივა და თვითშემოქმედება. ცენტრში ათამდე წრე მუშაობს—საავიაციო-ტექნიკური, რადიოფიზიკის, ავტომატიკა-ტელემექანიკის, ელექტროტექნიკის, ფოტო-კინოტექნიკის, ტექნიკური ესთეტიკის, ელექტროგამომთვლელი მანქანების შემსწავლელი და სხვ. ჩამოყალიბებულია სამოცამდე ჯგუფი. ყოველ ჯგუფში 10 მოსწავლეა. მეცადინეობა კვირაში ორჯერ ტარდება. გაკვეთილის ხანგრძლივობა 45 წუთია. სწავლა სამწლიანია, პირველ წელს მოსწავლე კვირაში ოთხ საათს მეცადინეობს, მეორე და მესამე წელს კი — ექვსი საათის განმავლობაში.

სწავლება ნებაყოფლობითია, ძალას არავინ არავის ატანს. ჩვენი ბავშვებისა და პედაგოგების ურთიერთობას თავისუფლად შეიძლება პედაგოგიური შრომის ბედნიერება ეწოდოს.

— საზოგადოებრივ საწყისებზე, — განაგრძობს ბატონი ოთარი. — ჩვენმა პედაგოგებმა 12 აუდიტორია შეაკეთეს, კეთილმოაწყვეს კაბინეტ-ლაბორატორიები, ეზოში დავაგეთ ასფალტი, დავდგით სკამები და მაგიდები, გავიყვანეთ წყალი, დავკიდეთ ჭიშკრები. მოკლედ, ჩემი კოლეგების შრომისმოყვარეობა, ერთსულოვნება და საქმისადმი უანგარო სიყვარული რომ არა, [illegible] შრომა ძალზე გამიჭირდებოდა.

— ბატონო ოთარ, სწავლება თქვენთან უფასოა. ხომ არ ფიქრობთ, ეს წრეები ფასიანი გახადოთ, რათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაიუმჯობესოთ?

— არავითარ შემთხვევაში! ჩემი ღრმა რწმენით, ამ ათასნაირ ფასიან კურსებს, ლექციებს, დამატებით მეცადინეობებს მოზარდთა ფსიქიკური ტრავმები მოჰყვება; ზოგიერთი ოჯახის ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო ღრმავდება კონფლიქტები ბავშვებსა და მშობელთა შორის.

თუ ახალგაზრდა ისე დაინტერესდა მისივე არჩეული პროფესიით, რომ პროგრამა მთლიანად ამოწურა, ესე იგი, გაიარა სრული კურსი (3 წელი), მას მიღებული ცოდნის დამამტკიცებელი საბუთი ეძლევა.

ერთი რამ მაფიქრებს: საავიაციო, საზღვაო და რადიოტექნიკის სპეციალობებს ქართველი ბავშვები არცთუ ეტანებიან. არადა, ამდენს ვლაპარაკობთ ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ის კი გვავიწყდება, რომ ეროვნული საჯარისო ნაწილების ფორმირებისას ამ დარგების სპეციალისტები აუცილებლად დაგვჭირდებიან.

ბევრი მოდის ელექტროგამომთვლელი მანქანების შემსწავლელ წრეში. მოგეხსენებათ, კომპიუტერი ავარჯიშებს ბავშვის გონებას, უად-



იქნებ იმედა პატიაშვილის ნახელავმაც დაამშვენოს გამოფენა

ვილებს ბუნებაში არსებულ კანონზომიერებათა აღმოჩენას და მათ გამოყენებას თავისი და ქვეყნის კეთილდღეობისათვის, კომპიუტერული ტექნიკის გონივრული გამოყენება მეტ შინაარსს სძენს ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ჩვენ საშუალება გვეძლევა, ეგმის შემსწავლელი წრის მეცადინეობას დავესწროთ. კომპიუტერთან მალხაზ შველიძე და შოთა ჭანტურია სხედან. მათ წარმატებით აითვისეს დაპროგრამირება და საკმაოდ რთულ ამოცანებზე მუშაობენ. მალხაზი მეუბნება, აქეთკენ გული იმიტომაც მომიწევს, რომ მზია მასწავლებელი ყოველთვის მშვიდად და გულისყურით მიხსნის მასალას და ბას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მის წრეში მოხვედრის მსურველთა ნაკადი არ წყდება. — განაგრძობს ბატონი ოთარი. — სწორედ ეს არის მისი პედაგოგიური ავტორიტეტის ჭეშმარიტი დადასტურება.

ადამიანსა და მის მიერ შექმნილ ნივთებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. საგანთა სამყარო ადამიანის სულიერ სამყაროს ირეკლავს და ასახავს. აქ წარმოდგენილი მდიდარი და მრავალფეროვანი ექსპოზიცია გვახედებს პატარების სულსა და გულში, გვაცნობს მათი ფაქიზი გრძნობების სამყაროს. ტექნიკური ესთეტიკის წრის ხელმძღვანელის, თამაზ ნოზაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი აღზრდი-



თუ პატარებს კომპიუტერზე რთული ამოცანის ამოხსნა გაუჭირდათ, მზია მასწავლებელი ხომ აქვეა!

მანქანასთან მუშაობა სულაც არ მიჭირსო.

მზია მინდიაშვილი რამდენიმე წელია, აქ მოღვაწეობს. ტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სახალხო განათლების სამინისტროში მუშაობდა, შემდეგ კი რუსთავში, პატარებთან სამუშაოდ გადმოვიდა. მზია მასწავლებელზე აღტაცებითა და სიყვარულით საუბრობენ ლევან ჯიშკარიანი, ეკა ჭიჭიბოშვილი, ნინო ლომიძე, ილია ჯიქურიშვილი...

— მზია მასწავლებლის ოსტატო-ლების ნახელავმა რესპუბლიკური თუ საკავშირო გამოფენები დაამშვენა.

ძალზე მოსწონთ ბავშვებს ავტომოდელირების წრეში მუშაობა. ღვაწლმოსილი პედაგოგის, ნიკოლოზ მაშინცევის მოწაფეთა მოდელებმა ბევრ შეჯიბრებაში მოიპოვეს გამარჯვება. მასწავლებლის აზრით, მთავარი მაინც ისაა, რომ, ცოდნასთან ერთად, ბავშვები შრომასაც ეჩვევიან. საკუთარი შრომის ნაყოფს ხედავენ და ეს უდიდეს სიხარულს ანიჭებთ მათ.



ბიჭუნები ცდილობენ, დამოუკიდებლად შექმნან ახალი ავტომობილის მოდელი

ვემშვიდობები მასპინძლებს იმ რწმენით, რომ ეს ჭეშმარიტად პატიოსანი და კეთილსინდისიერი მასწავლებლები, მცოდნე და მაღალზნეობრივი ადამიანების აღზრდასთან ერთად, თავიანთ სიკეთესა და სიყვარულს უწილადებენ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე დამდგარ მოზარდებს, რათა იმათაც მომავალში სხვებს გაუზიარონ აქ, ამ კედლებში მიღებული ცოდნა და გულის სითბო.

ყოველთვიური საყმაწვილო ჟურნალი
ქურნალი
ნაკადული
გამოდის 1926 წლიდან
№12 დეკემბერი 1990

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა
19397

# ჩემი სასმლი კასეტიდან...

მანანა გელაშვილი

მოთხრობა

მხატვარი

კარლო ფაჩულია

— სულელი ხარ, სიდ! ნეტავ, რა ცხვირს უბზუებ, რა აქვს გეგას შენი დასაწუნი? შესახედადაც მაგარი ბიჭია, ნაღდი ალენ დელონია... ინსტიტუტშიც ეგრევე დაჯდება, მამამისის გაკრიალებული „მერსედესიც“ ორ-სამ წელიწადში მაგისი იქნება და ყველაფერი... მე რომ შენს ადგილას ვიყო!... — უთხრა ერთხელაც დიდი ხნის სათქმელი თამთამ, როცა ოსიკოს დაბადების დღიდან ბრუნდებოდნენ. იმ საღამოს გეგას ზედმეტი ყურადღებით გაბეზრებულმა სიდონიმ პირდაპირ მიახალა, კარგი რა, თავი გამანებე, ნუ დამღალეო.

— გითმობ ჩემ ადგილს... მე არც ალენ დელონი მომწონს მაინცდამაინც და ყველაზე ჯაგლაგა ცხენიც კი მირჩევნია ნებისმიერ მანქანას...

— რა უნდა გელაპარაკო?! — ხელი ჩაიქნია კლასის ინჭორბიუროს პრეზიდენტმა — თემურიმ მონათლა ასე — და დაუმატა: — იცი, რას ამბობენ, თურმე, დედაშენზე ნაცნობ-მეზობლებიც და თანამშრომლებიც? ამ ქვეყნისა არ არის, ნეტარიაო, ჰოდა, შენც ხომ დედაშენის შვილი ხარ და რა გასაკვირია, — აშკარად გასამწარებლად უთხრა.

— კი, გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, — გაიცინა სიდონიმ და კიდევ ერთხელ აფიქრებინა ამხანაგს, სულელიაო.

სიდონის ეგონა, იმ საღამოს მერე მაინც მოასვენებდა გეგა, გულს აღარ შეუწუხებდა მუდამ გვერდით ყოფნით, მაგრამ შეცდა.

— მამა არ გამოჩენილა? აუჰ, დე, მგელივით მშია... მუსიკაზე არა ვყოფილვარ. მე და თაყა სარდლიშვილი საგურამოში ვიყავით, ჩიტები გავაფრინეთ... ნუ გეშინია, ვისადილებ და ვიმეცადინებ... — სიტყვის თქმა აღარ დააცალა დედას, ისე მიაყარა სიდონიმ, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა.

— გადარეული ხარ, შვილო, არ ვიცი, რა გეშველება... რა დროს საგურამო იყო? მუსიკა ხომ გააცდინე და გააცდინე, იმ ბავშვებს რაღას ერჩოდი? თუ კინოში წასასვლელად იყავით შეთანხმებულები, რას აყურყუტე მთელი დღე? გეგამ ლამის აქ დაალამა...

— ნუ დაალამებდა რა, მე ვუთხარი თუ?!

— აბა რა ლაპარაკია ახლა ეგ?

— რა ლაპარაკია და დავიღალე, დე, გეგასგან. მაღიზიანებს, არ მომწონს და რა ვქნა!

— კარგი, კარგი... ნელა ჭამე, ნელა, ნუ მიიყარე! სარდლიშვილი რომელიღაა, ახალი მოსწავლე გადმოვიდაო, რომ მითხარი, ის არის?

— ჰო, დე, და იცი, რა კარგი ბიჭი ყოფილა? დროდადრო თურმე ჩიტებს ყიდულობს და მერე ათავისუფლებს... არა, მარტო მაგიტომ კი არ არის კარგი ბიჭი, საერთოდ... შემთხვევით შევხვდი ავტობუსში და გავყევი, თვითონაც არ ვიცი, რატომ, — ჩაიცინა სიდონიმ. — იცი, ერთი ჩიტი მეც გავუშვი, ჩხიკვი... და, მგონი იმ წუთში მე უფრო ბედნიერი ვიყავი, ვიდრე თვითონ ის ზაქარა—ჩხიკვი...

მართლაც კეთილსინდისიერად იმეცადინა სიდონიმ იმ საღამოს. რატომ შვიდჯერ კი არ დაუკრა ერთი და იგივე პიესა თავიდან ბოლომდე, ხოლო ზოგიერთი პასაჟი ბარემ ათჯერ გაიმეორა.

— თუ ტყე-ტყე სიარული ასე გაგაბეჯითებს, ყოველდღე წადი ხოლმე, — გაუცინა დედამ, როცა სიქაგაცლილი სიდონი თავისი ოთახიდან გამოვიდა.

— არა, დე, იცი რაა? როგორ გითხრა... იცი, რაღაც უჩვეულო სიამოვნებით ვუკრავდი... უბრალოდ, რაღაცნაირად თითქოს მთელი არსებით ვგრძნობდი ნაწარმოებს და ალბათ იმიტომ... არ ვიცი, შეიძლება მართლაც ტყე-ტყე სიარულმა მარგო, — ეშმაკურად მოწკურა თვალები, — აფსუს, რომ კონცერტამდე ველარ მოვასწრებ, თორემ...

თავი კალთაში ჩაუდო დედას და ხელები დაუკოცნა. ბავშვობიდან ჰქონდა ასეთი ჩვევა — როცა მოფერება უნდოდა, ხელებს უკოცნიდა, ლამაზი და ჰკვიანი ხელები გაქვსო, ეუბნებოდა.

დედამ საქსოვი გვერდზე გადადო და თმაზე ხელი ჩამოუსვა.

— რამხელა გოგო გამეზარდე, სიდო! ცოტა და, გამიფრინდები, და დავრჩები მარტო.

— მარტო რატომ? მამა?!

— ჰო, არა... რა თქმა უნდა, მე და მამა, — დაიბნა დედა.

— რა აუცილებელია, დე, სულაც არ გავთხოვდები და შენთან... თქვენთან დავრჩები.

— სისულელეს ნუ ამბობ, რად მინდიხარ აქ შინაბერა? კიდეც უნდა გათხოვდე და ბევრი შვილიც უნდა იყოლიო... მოდი, შენ ახლა ჩაი აადუღე ლამაზად, დავლიოთ და დავიძინოთ, თორემ ძალიან დავიღალე, სარეცხმა ბოლო მომიღო.

---

დასასრული. იხ. „ნაკადული“ № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაუთოებაში მე მოგეხმარები. ხომ იცი, როგორ მიყვარს უთოობა.

— იმდენი შენ რა გითხარი! ისე, კარგს იზამ, გენაცვალე, თორემ დამრჩება და დამრჩება ეგრე, დანამვა არ დაგავიწყდეს, ამალამვე დანამე.

დილით ადრე წამოფრინდა სიდონი, იფიქრა, ნაწილს ახლა დავაუთოებ, დანარჩენს კი საღამოთიო, მაგრამ შეჰყვა, ბარემ ამ ზეწარსაც გავაუთოვებო, ბარემ ამ ბალიშის პირებსაც გავუსვამო, მამას პერანგსაც გავატკიცინებო და ამასობაში ცხრის ნახევარიც გახდა. ფათიფუთით ისაუზმა და სკოლაში გავარდა. ერთი ფეხით შეასწრო ფიზიკის მასწავლებელს გაკვეთილზე. კლასს თვალი მოავლო, თაყაც მოძებნა, გაუღიმა და ხელის აწევით მიესალმა. მაიკო და თამთა უმალ გაფაციცდნენ, სახტად დარჩენილებმა მზერა გააყოლეს ამხანაგს. ოჰო! აქ რაღაც ამბავიაო.—მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ჯერ ერთმანეთს, მერე — გეგასაც. იმას წარბები შეეყარა და დაუფარავი ბოღმით უყურებდა თაყას.

— რაღაც მოხდება, ნახე, თუ არა! — იდაყვი წაჰკრა დაქალს თამთამ. ერთი სული ჰქონდათ, როდის დაირეკებოდა ზარი, წამდაუწუმ საათს დაჰყურებდნენ. ზარიც დაირეკა. კლასი ხმაურით აიშალა. თითქმის ყველა დერეფანში გაიკრიფა.

— დედა ხომ არ გაგიჯავრდა? — ღიმილით მიუახლოვდა თაყა სიდონის.

— არა, იმდენი ვიმეცადინე, ესე მითხრა, ხშირად იარე ტყე-ტყე, თუ ასე გაბეჯითდებიო.

— მაგას რა ჯობია... ჩვენც ავდგეთ და ვიაროთ...

მეცხრე „ა“-ს ინჰორბიურო გამალებით ამუშავდა: ჯერ კიდევ შაბათს ეს ბაიყუშა თაყაა თუ ვიღაც, თავის მერხს არ გასცილებია. იჯდა ბუკნაჰოტივით და ცხვირპირზე ზეთები ჩამოსდიოდა. არავის გაჰკარებია, არც სიდს და არც სხვა ვინმეს. ერთი-ორჯერ ოსიკოს გადაულაპარაკა რაღაც, ეგ იყო და ეგ... მაშ რაშია საქმე? სიდმა გაკვეთილზე დაიგვიანა, მაშასადამე, ამ დილით ვერ ნახავდნენ ერთმანეთს... გამოდის, რომ გუშინ, კვირას იყვნენ ერთად... ჰოო, ეს კი რაღაცას ნიშნავს... გეგა სადღაა? აგერ ყოფილა...

— რაღაც, მგონი, შენმა დედოფალმა უცხო უფლისწული მოიწონა, ა?! — თითქოს სასხვათაშორისოდ ჩაულაპარაკა მაიკომ წარბებშეკრულ გეგას, — არ გაგიკვირდეს, სულ მალე ქეთოს არია რომ გიმღეროს — „მე სხვა მიყვარსო“....

— შენი საქმე არ არის! — შეუღრინა ბიჭმა. — ყველაფერში ცხვირს ნუ ყოფ, გაიგე?!

— კი ბატონო, შენი საქმეა და იმასაც ვნახავთ, როგორ გაართმევ თავს! — გაკაპასდა მაიკო.

— რას იტყვი, ოსიკო, მგონი შენმა მეზობელმა პაგანინის დაადგა თვალი? — თამთა სხვა ფრონტზე მუშაობდა ენით.

— ჰო, ჰო, გამოაბით ახლა კუდები! ვინმეს ხომ უნდა დაელაპარაკოს კაცი! — შეუტია ოსიკომ.



— ვინმეს — კი...—გესლიანად ჩაილაპარაკა პრეზიდენტმა.

გაკვეთილების შემდეგაც რომ ერთად გაუდგნენ გზას თაყა და სიდონი, მაშინ კი ველარ მოითმინა გეგამ, ნაბიჯს აუჩქარა, წამოეწია, განგებ ძლიერად გაჰკრა თაყას მხარი, ერთი შეუბღვირა, წესიერად ვერ გაივლიო, იქით შეუტია და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. მიხვდა თაყა, რომ ეს გამოწვევა იყო, მაგრამ არ შეიმჩნია. სიდონიც მიხვდა, არ ესიამოვნა გეგას გამოხდომა, იგრძნო, რომ ეს მომავალი კონფლიქტის დასაწყისი იყო.

კონფლიქტმა მართლაც არ დააყოვნა.

მუსიკალური სასწავლებლის მყუდრო საკონცერტო დარბაზი უკვე სავსე იყო. თაყამ შუა რიგში განაპირა

თავისუფალი სკამი დალანდა და ჩამოჯდა. ჯერ სცენას გახედა. მერე დარბაზი მოათვალიერა, მესამე რიგში თანაკლასელები შენიშნა — თამუნა, მერაბი, თემური, ოსიკო, თამთა, მაია და გეგა... გეგა წრიალებდა, მალიმალ წამოდგებოდა და მსმენელებს ათვალიერებდა. აშკარად ვიღაცას ეძებდა. კიდევაც იპოვა, თაყაზე შეაჩერა მზერა და უსიამოვნოდ აიჯაგრა — ეგრეც ვიცოდიო...

კონცერტი უმცროსკლასელებმა გახსნეს. საოცარი სერიოზულობით უკრავდა თითოეული მათგანი, მადლობაც დიდი ღირსებით გადაუხადეს მსმენელებს თავშეკავებული რევერანსით. თაყას გაეცინა. მერე კისერწაწვრილებულმა ბიჭმა შეასრულა შოსტაკოვიჩი და სიდონის ჯერიც მოვიდა. სწორი შავი კაბა ეცვა, თეთრი ნაქარგი საყელოთი გამოცოცხლებული. ძალიან უხდებოდა. მსმენელებს თავი დაუკრა და ვიდრე ვიოლინოს მოიმარჯვებდა, დარბაზს გადახედა. „საოცარია! — თვითონვე გაუკვირდა, — რაღა მაინცდამაინც თაყა დავინახე პირველი?! აუჰ, ახლა რომ მართლა შევრცხვე დ თავი მომეჭრას!..." — ჩაიღიმა. მერე დედაც დაინახა, ამხანაგებიც, დაკოპილი გეგაც... „ეტყობა, მამა კიდევ არ ჩამოსულა, თორემ მოვიდოდა... ადრე არც ერთ ჩემს კონცერტს არ აკლდებოდა... ჰო, ადრე... ბოლო დროს კი..."

ხან ლირიული და სევდიანი იყო სიდონის ხელში ვიოლინო, ხან თავდავიწყებით კისკასი და აღმტაცი, ნაირ-ნაირ სურათებს უხატავდა თაყას თვალწინ. აი, წვიმიანი შემოდგომის დღე და ფოთლებგაძარცვული ეული ალვის ხე... უკიდეგანო ველზე გარინდებული ნაღვლიანი ბებერი თეთრი ცხენი... ბუჩქებში მოკიაფე ციცინათელების გუნდი... მაღლიდან კისრისტეხით წამოსული ნაკადული... მერე კიდევ ერთი სურათი დაინახა — სოსნისფრად მოლივლივე მინდორში სიდონი გარბის, თეთრი კაბა აცვია, კისერი უკან გადაუგდია, იცინის და გარბის, მზისფერი თმის ტევრი უღელავს, თავს ჩიტების გუნდი ახვევია და გარბის, თაყა მისდევს და ვერ ეწევა...

„ლამაზია სიდონი, ძალიან ლამაზი..." — თვალები დახუჭა თაყამ და უმალვე გაახილა. სიდონის დაკვრა დაემთავრებინა.

— ვაიმე, ისევ მარტო თაყას ვხედავ! — შეკრთა სიდო და ახლა დედას დაუწყო გამალებით ძებნა. დედა მშვიდად უღიმოდა. თანაკლასელებიც მოძებნა. აღტაცებულები უკრავდნენ ტაშს. მარტო გეგა იჯდა გაქვავებული. სიდონის შემდეგ კიდევ ორმა გოგომ დაუკრა და კონცერტი დამთავრდა. თაყა ლამის ყველაზე ბოლოს გავიდა დარბაზიდან. სიდონია, დედამისი და რამდენიმე ამხანაგი ჭადრის ქვეშ იდგნენ.

— მაესტრო, ნება მიბოძეთ, ქალაქის მთელი საზოგადოების სახელით მადლობა მოგახსენოთ მონიჭებული სიამოვნებისათვის, — ლაზღანდარობდა თემური. — თქვენ ჭეშმარიტად დიდი ხელოვანი ბრძანდებით და... კვლავაც თქვენს მხურვალე თაყვანისმცემლებად გვიგულეთ ყველანი. უნდა მოგახსენოთ, რომ...

— მორჩი! — მხარი გაჰკრა გეგამ.

— აცალე, ბიჭო, რა მოგივიდა?! — გამოექომაგა ამხანაგს ლაშა. გეგამ ახლა იმას წაჰკრა მუჯლუგუნი.

თაყას დანახვაზე თემურმა ისევ განაგრძო:

— მაესტროს თაყვანისმცემლებს ბოლო არ უჩანს, მოდიან და მოდიან. აი, ბატონი თაყა სარდლიშვილიც მოეახლა, უთუოდ მოსალოცად და მადლობის სათქმელად. მობრძანდით, ბატონო თაყა!

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონებო და ბატონებო! — აიტაცა თანაკლასელის ტონი თაყამ. — გილოცავთ, მაესტრო! — ქურთუკის უბეში ხელი ჩაიყო, კესანეს კოპწია კონა ამოიღო და სიდონის გაუწოდა.

— გმადლობ, — სიდონის სახეზე სიწითლემ გადაურბინა.

— აკი თავი მომეჭრებაო? — გაუღიმა თაყამ.

— დე, ეს თაყა სარდლიშვილია...

თამთამ მაიკოს მკლავზე უჩქმიტა და გეგასკენ მიახედა. ბრაზისაგან ყვრიმალები აუდ-ჩაუდიოდა, ნესტოები დაბერვოდა და თაყას მიჩერებული თვალებიც ავად უელავდა.

— ახლა კი ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ, იმედია მომიტევებთ, — წასასვლელად მოემზად თაყა.

— ოჰ, გვტოვებთ, ბატონო თაყა? — გააგრძელა თამაში თემურმა.

— დიდად ვნანობ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს... კიდევ ერთხელ გთხოვთ მომიტევოთ... — ბოლოს სიდონის ხელი აუწია, წავედიო და წავიდა.

— მართლა კარგი ბიჭი ყოფილა, — დაადევნა ქალბატონმა ტასიკომ თაყას.

— მეც წავედი, — კუშტად გამოსცრა გეგამ. სიდონი შეკრთა, გულმა რეჩხი უყო, ოსიკოს გადახედა.

— თემო, ჩვენც წავედით, არა? — უმალ მიუხვდა ბიჭი ამხანაგს და ძმაკაცს უბიძგა. გეგას აედევნენ. მალე წამოეწივნენ.

— სახლში მიდიხარ? — ჰკითხა ოსიკომ.

— ჰო, მაგრამ... ჯერ იმ ვაჟბატონს უნდა ვუთხრა რამდენიმე ტკბილი სიტყვა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მოიცა, რა, გეგა... რად გინდა... — წამოიწყო თემურმა.

— რად მინდა კი არა... კბილებს ხელში დავაჭერინებ.

— რა იბოღმები, იქნებ არ იცის, რომ შენ სიდი...— ახლა ოსიკომ სცადა ამხანაგის დამშვიდება.

— მოიცა, რა, თუ ძმა ხარ, რა არ იცის...

— ბიჭო, ე! — სკვერთან წამოეწივნენ თაყას. — შენ გეუბნები, არ გესმის?!

თაყა შედგა და შემობრუნდა. გეგა ჯიქურ მიუახლოვდა.

— იცოდე, ერთხელ და სამუდამოდ გაფრთხილებ. იმ გოგოს სიახლოვესაც კი რომ დაგინახო... მერე რაც მოგივა, შენ თავს დააბრალე. გაიგე? მე არ ვიცი, ჩვენს სკოლაში რატომ გადმოხვედი, ის კი ნაღდი მეცოდინება, ჩვენგან რისთვის გადახვალ. გაიგე?! — ცხვირწინ აუტრიალა ღონიერი მუშტი.



თაყამ გვერდული ღიმილით დახედა იმ მუშტს, ხელები ჯიბეებში ჩაიყო და მშვიდად განაგრძო გზა. გეგა უარესად დაიბოღმა, თავისივე მუშტი შეათვალიერა, თითქოს შეამოწმა, მართლა თაყას დასაცინი, პატარა და უძლური ხომ არა მაქვსო, და გაიფიქრა, რომ ამ გამხდარი, აწოწილი ბიჭის ყბებისთვის მისწრება იქნებოდა კარატეს დარბაზში ნავარჯიშები ეს მუშტი, და დამშვიდდა.

დილით სიდონი ლამის ყველაზე ადრე მივიდა სკოლაში. წრიალებდა, ვერ ისვენებდა. მერაბიც მივიდა, თამუნაც, ლაშაც, ერეკლეც... ჰო, აი, ოსიკოც შემოვიდა კლასში.

„მოხდა რამე?“ — თვალებით დაეკითხა სიდონი. არაო, თვალებითვე ანიშნა იმან, მშვიდად იყავიო. All right! — ჩაუინგლისურა შემოსულმა თემურმა და სიდონი საბოლოოდ დაწყნარდა.. მერე გეგაც მოვიდა. სიდონიმ თვალი აარიდა. როგორც იქნა, თაყაც გამოჩნდა.

— გაუმარჯოს! — ხელი აუწია, გაუღიმა და პირდაპირ მისი მერხისკენ წავიდა. — როგორა ხარ?

— უხ! — კბილები გაალრჭიალა გეგამ.

— დღეს კი ნამდვილად მოხდება რაღაც! მითუმეტეს, რომ გუშინ უკვე დაწყებულა. — ამუშავდა ინფორბიუროს ტელეტაიპი.

იმ დღეს მართლაც მოხდა რაღაც.

„გაკვეთილების შემდეგ სკოლის უკან გელოდები, ხომ გაიგე?!“ — თაყას გეგას ხელით დაწერილი ბარათი ეპირა ხელში. „გავიგე“, — მოკლედ მიაწერა ქვეშ და ოსიკოს ხელით გადასცა პასუხი.

სკოლის უკან, პატარ-პატარა კერძო სახლებს შორის, ერთი მყუდრო ადგილი იყო შემორჩენილი. იქ ვარჯიშობდნენ სკოლის დამწყები მწეველები სიგარეტის ქაჩვაში, იქ მიყრილ ძველ მერხებში მალავდნენ ოროსნები დღიურებს. იქვე ასწორებდნენ ანგარიშებს სხვადასხვა მიზეზით მოძიძგილავე ბიჭები. თაყა და გეგაც იქ შეხვდნენ ერთმანეთს. ოსიკო და თემური შორიახლოს იდგნენ.

— ბიჭო, მე შენ რა გითხარი? თუ ადრეული სკლეროზი გჭირს?! — მხარი მკერდში ატაკა გეგამ. — ხომ არ გინდა, სახის ფერი ლურჯით შეგიცვალო?!

— არა, მე ეს ფერი მირჩევნია, შავგვრემანი! — არ შეეპუა თაყა და გეგას მხარს გაქვავებული მკერდი დაახვედრა.

თემურმა და ოსიკომ ერთმანეთს გადახედეს და ნაბიჯი წინ წადგეს.

— ბიჭო! — მარჯვენა მოუქნია გადარეულმა გეგამ, მაგრამ თაყამ შუა გზაზევე გაუშეშა ის მარჯვენა.

— ამას ვერ უყურებ?! — უარესად გაგულისდა გეგა. — ამ ჭიაყელამ უნდა მაჯობოს?!

ახლა თავით დაეტაკა მოწინააღმდეგეს. თაყა შებარბაცდა და სწორედ მაშინ გაუქანა გეგამ ყბაში ძლიერი მუშტი. — ამ ცხვრის თავს ხომ ხედავ?! —მიაძახა, მაგრამ უმალ ისეთი ძლიერი საპასუხო დარტყმა მიიღო, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა. სახიდან შეიშალა — დამარცხებას შეუჩვეველი იყო. ბავშვობიდანვე სულ იმას უჩიჩინებდნენ, არავინ არაფერში არ უნდა გაჯობოსო, არასდროს არაფერი არ უნდა დათმო, ყველას და ყველაფერს უნდა გადაუარო და, რაც გინდა, უთუოდ დაისაკუთროო.

— ამან უნდა მაჯობოს?! ამან უნდა წამართვას გოგო?! — გავეშებული ხარივით დაიძრა თაყასკენ.

თემური და ოსიკო შეშფოთდნენ.

— გეყოთ ახლა... მორჩით! — სცადა ჩარევა ოსიკომ.

— მომშორდი, თორემ შენც მოგხვდება! — თვალები დაუბრიალა გეგამ.

— ე, ბიჭო, „ატანდა“, როსტომა მოდის აქეთ... — იეშმაკა თემურმა. — სასწავლო ნაწილიც მოდის და თამარაც! გესმის, გეგა?!

აჯაგრული გეგა ერთბაშად ჩაცხრა, ყბაზე ხელი ჩამოისვა, შარვალ-ხალათი გაისწორა, მიწაზე დაგდებულ ჩანთას დასწვდა, ერთი შეუბღვირა თაყას და იქაუროობას გასცილდა. ვიდრე შეუხვევდა, უკან მოიხედა. თემური და ოსიკო რაღაცას ელაპარაკებოდნენ თაყას, ოსიკო ქურთუკს უწმენდდა ზურგზე. არ ესიამოვნა. ეს იმას ნიშნავს, რომ თაყას აშკარად მომხრეები გამოუჩნდნენ და ეს არ იყო კარგი.

დღეები გადიოდა. თაყა მალე შეეჩვია ახალ ამხანაგებს. ღია და კეთილი გული უჩვენა ყველას. ცოდნის და სულის სიწმინდით თანატოლთა პატივისცემა დაიმსახურა. თამთამ და მაიკომაც კი აღიარეს. არაფერი მაიყუშიც არა ყოფილაო. განსაკუთრებით ოსიკოსა და თემურს დაუახლოვდა. გეგას საერთოდ არ ამჩნევდა, თუმცა არც ძვირი გული ჰქონდა მასზე. ხოლო სიდონის მიმართ... იისთვალება სიდონის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა გაუჩნდა ბიჭს თავისთვისვე შეუმჩნევლად. უცნაურ კრძალვას გრძნობდა, ეჩვენებოდა, რომ მის დანახვაზეც კი სული უფაქიზდებოდა. ასე ეგონა, ვიღაცისგან თუ რაღაცისგან საფრთხე ელოდებოდა და მზად იყო, თავზე შემოვლებოდა.

„მგონი... მგონი, მიყვარს თაყა“, — უნაზეს პეპელასავით უთრთოდა სიდონის ფიქრი და ესათუთებოდა ამ ფიქრს, ეშინოდა, ძალიან ეშინოდა, არავის ხელეყო იგი.

„ნეტავ, სიდონის გაცნობამდე როგორ ვარსებობდიო“, — ფიქრობდა თაყა.

„თაყას გადმოსვლამდე რა იყო ჩემი ცხოვრებაო“, — უკვირდა სიდონის და ორივე უბედნიერეს არსებად გრძნობდა თავს...

●

— სიდო, მოდი, ჩამოჯექი... და ყური დამიგდე. შენ უკვე დიდი გოგო ხარ და... — წამოიწყო დედამ.

სიდონი დაიძაბა. რამდენი ხანი ელოდებოდა ამ საშინელ წამს, როცა ორივე იძულებული გახდებოდა ულმობელი სინამდვილე დაეჯერებინა და მოსახდენის გარდუვალობა ეღიარებინა. ჰოდა, ეს წამიც დადგა...

— მოკლედ... — ხმა აუთრთოლდა დედას. — მამა ჩვენთან აღარასდროს მოვა,... მარტოები დავრჩით მე და შენ...

ხომ მთელი არსებით მზად იყო სიდონი ამ ამბის მოსასმენად და მაინც... ტკივილმა თხემით ტერფამდე დაუარა და გულის სიღრმეში რაღაც ჩასწყდა.

აღარასდროს მოვა... აღარასდროს აღარ მოვა მამა, ადამიანი, რომლის სისხლი და ხორციც იყო სიდონი, რომელიც მისი უპირველესი მეგობარი და მესაიდუმლე იყო, ვიდრე... რომელსაც მუდამ ხალისი და სინათლე შემოჰქონდა ოჯახში...

— რას იზამ.. სხვა ქალი შეუყვარდა... შენ ჯერ არ იცი, რა არის სიყვარული, სიდო!

— ესეთია, დე, ესეთია სიყვარული? ტკივილის მომტანი? ცუდი ყოფილა, დე, სიყვარული, ცუდი... — თავი დედის კალთაში ჩარგო და აზლუქუნდა.

— სიდო, სიდო... დამიჯერე, სიყვარული ის გრძნობაა, რომელსაც ადამიანი ვერ უმკლავდება... ვერც მამა მოერია თავს... დარწმუნებული ვარ, ძალიან უჭირდა

ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ვერ მოერია გრძნობას, ვერც მოერეოდა და... არც ჩვენ უნდა დავძრახოთ ამისათვის.... მე არ მინდა, რომ შენ ცუდი რამ გაივლო მამაზე გულში... ერთი რამ იცოდე—მამაშენის სადარი კაცი ქვეყანაზე არ დადის. სხვა ქალი შეუყვარდა, გესმის შენ, შეუყვარდა...

„...დედაშენი ამ ქვეყნისა არ არისო... ნეტარიაო..."— ანაზდად თამთას ნათქვამი წამოუტივტივდა გონებაში სიდონის და თავი ასწია, დედას შეხედა. დაბერებულიყო მისი ლამაზი დედა, სახე ჩამოგრძელებოდა, მხრები ჩამოვარდნოდა. თვალებში კი მაინც სიკეთე უკიაფებდა.



უღალატა ქმარმა, ადამიანმა, რომელიც ახლაც კი თრთოლვით უყვარდა, რომელმაც უფაქიზესი გრძნობა დაუწიხლა... ის კი ამბობს, ნუ დავძრახავთო... მისი სადარი კაცი არ დადის ქვეყანაზეო...

— გაგვიჭირდება, სიდო, მე და შენ, მაგრამ ეს მარტო მე და შენ უნდა ვიცოდეთ. — წელში გასწორდა დედა.

— ცუდია, დე, სიყვარული, ცუდი... — აქვითინებული სიდონია თავის ოთახში შევარდა და ბალიშებში თავჩარგული აბლავლდა.

...სხვა ქალი შეუყვარდა... რა საქმე მაქვს მე იმ სხვა ქალთან?! როგორ შეიძლება სხვა ქალი არსებობდეს, როცა დედა არსებობს?!... ნუ დავძრახავთო, მამაზე ცუდი არაფერი გაივლო გულშიო... არ მინდა... მე მამა აღარა მყავს... სიყვარული... მაშ, ასეთია სიყვარული? თაყა... ასეთია, მითხარი?...

დილისკენლა ჩაეძინა, სიქაგაცლილს. ფეხის ხმამ გამოაღვიძა. წამოდგა. საწოლ ოთახში მამა იდგა. ერთბაშად სახე გაუნათდა. მაშ სიზმარი ყოფილა ის ყველაფერი, სიზმარი. აი, აქ არ არის მამა?!

— ა, სიდ, შენა ხარ? — დაიბნა მამა. — მე სკოლაში მეგულებოდი და...

არაფერი სიზმარიც არა ყოფილა! — მამას გარდერობი გამოეღო და თავის ტანსაცმელს ჩემოდანში ალაგებდა. სიდონის დანახვაზე შეცბა. ცხვირსახოცების დასტა ჯიბეში ჩაიტენა. სიდონის გაუთოებული თეთრი პერანგი დაასორსოლავა და ჩემოდნის კუთხეში ჩაკუჭა.

— დედა გეტყოდა, რომ...

სიდონიმ ხმა არ გასცა. თავის ოთახში შებრუნდა.

— სიდო, გამიღე... ყური დამიგდე... შენ ჯერ არ იცი...

სიდონიმ კარს სავარძელი მიადგა, ყურებში თითები დაიცო და ისევ ბალიშებში ჩაემხო, რათა ახლა მამასგან არ მოესმინა—შენ ჯერ არ იცი, სიყვარული რა არისო... ეს ისეთი გრძნობააო, რომელსაც ადამიანი ვერ უმკლავდებაო...

მამა ერთხანს კიდევ იდგა მისი ოთახის კართან, ცდილობდა, რაღაცნაირად თავი ემართლებინა, მერე ერთბაშად ხელი ჩაიქნია, ჩემოდანს ხელი დაავლო, გასაღებების ასხმას ერთი გამოაკლო, თაროზე შემოდო და კარი გაიხურა, წავიდა...

ძალიან გაუჭირდა სიდონის. რაღაცნაირად დაცარიელდა. თვალები ჩაუქრა, მზერა გაეყინა. არავის დანახვა არ უნდოდა, რამდენს ემუდარა დედა, მაგრამ ვერც ლუკმა შეაჭამა და ვერც ხმა ამოაღებინა. ხან ალერსით სცადა, ხან გაუჯავრდა, მე რატომ არ მიწევ ანგარიშსო, ისიც უთხრა, მე შენზე უფრო მიჭირს, მაგრამ არ ვიმჩნევო. გაოგნებული სიდონის გონებამდე კი არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორგი წერეთელი**

## დღეს ვჭვრეტ ხვალინდელს

დღეს ვჭვრეტ ხვალინდელ
საქართველოს.
რაღაც დიდებულს,
მიწასთან მებრძოლს,
წყალთან მებრძოლს,
ცას გაკიდებულს,
არა თეძოზე წამოწოლილს
და თავმიდებულს.
დიდო ლაშქარო,
უახლესო,
მაგრამ ძველშავო,
გასამორჩინაო,
მოსარწყავო,
დასაგეშავო...
გაზრდის სურვილი,
მხარში — ჭიგო არ მოგეშალოს.
უნდა დავძლიოთ ოდითგანვე
გზა მომნუსხველი,
რომ დედამიწა
იყოს ლაფში ამოუსვრელი,
ნაძრახ სიცოცხლეს
სჯობს სიკვდილი! — ამბობს
რუსთველი.

არ გამეგონოს თქვენი გზების
უარესობა.
რაა ნატყორცნი,
ათიანში თუ არ ესობა?
რაც შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს,
ზღვაში წვეთია,
თქვენგან მეტს ველით,
თუ გზა უქმად არ გიცვეთიათ.
ახლის და მაღლის შექმნის სურვილს
რადგან არ სძინავს,
თქვენგან მოველით
ახალ მცხეთას,
ახალ ვარძიას,
ახალ რუსთაველს,
ახალ საბას,
ახალ იკაროსს,
რომ დედამიწამ
ახალ ფრთებქვეშ გადაიკაროს.

●

აგერ რომ ტყეში ახოა,
ირმების საბალახოა,
ლამაზი სამოსახლოა,
დავსახლდეთ,
წყაროც ახლოა.
სიო ქრის ხალისიანი,
ყუჩობენ ხვალის იანი,
დღე მუდამ არის მზიანი,
ჩიტბატონებთან გვექნება
სახლი და კარი ზიარი.
აქ ხომ ხის ყველა ტოტზეა
ბუდე მზის კარნიზიანი.

## გამარჯვება და მშვიდობა

ღრუბლებად იზვირთებოდა
ორგულობა და ფლიდობა,
ჩვენსავით ვის სჭირდებოდა
გამარჯვება და მშვიდობა.
ცის რისხვა თუ მტერდიდობა
ანთებულ კერას გვიქრობდა.
გამარჯვება და მშვიდობა
სალმად ჩვენს გარდა ვის ჰქონდა.
სამშობლოს გადასარჩენად
სისხლის მორევში გვიტოპავს,
მიტომაც ოდით დაგვჩემდა
გამარჯვებაც და მშვიდობაც.
ვწყევლიდით ავდრის გაჩენას, —
წარღვნას და ცისწყალდიდობას,
სიცოცხლის გადასარჩენად
ვებჭდავდით ნოეს კიდობანს.
კლდეში ვკვეთავდით სახიზნეს,
ვუფრთხოდით უამინდობას,
ავდარი დღესაც გვაფხიზლებს
და მიტომ ვეტრფით მშვიდობას.
ჩვენი სამკვიდრო აქვე დგას,
სადაც მშობელმა ინდომა,
არ მოკლებოდეს ქართველ კაცს
გამარჯვება და მშვიდობა!..

**ჯიბო ჯიმერი**

## აბურდულად თოვს

ციდან ცვივა მინანქარი —
აბურდულად თოვს
და ქათქათა მიტკალს ქარი
ჰაერშივე ქსოვს.

ხევში ნისლი ჩაწვა დარდად,
წყარო გადის ფონს.
გაღმა თოფი გავარდა და
ალვა იხვევს ბოლს.

გადაევლო შაშვი ხრამებს
და ჭაჭახში მხვევს,
თითქოს ერთი მუჭა ღამე
ხემ ესროლა ხეს.

დაუხრიათ თავი წნორებს
და გზაც ვეღარ გზობს.

ფერი აღწევდა. ტელეფონის ყურმილიც გადასდო და კარსაც არავის ულებდა. თუ ტახტზე არ იყო მივარდნილი, ჩაბნელებულ ოთახებში დაბორიალობდა უაზროდ. სასოწარკვეთილმა დედამ აღარ იცოდა, რა ეღონა. შიშით ხმას ვეღარა სცემდა, უარესად არ გავაღიზიანოო. ერთი პირი იფიქრა, კლასელებს ვეტყვი ჩუმად, მოაკითხონო, მაგრამ იმისიც შეეშინდა, ალბათ არ მოინდომებს, ასეთ დღეში რომ ნახონ, და გადაიფიქრა. იმის იმედიღა ჰქონდა, იქნებ თვითონვე მოერიოსო თავს.

— სხვა სკოლაში უნდა გადავიდე... — გამოუცხადა ერთ საღამოსაც სიდონიმ სამსახურიდან მობრუნებულ დედას.

— იქნებ გადაგიაროს, სიდო, და...

— არა, დე, მე ჩემს კლასში ვეღარ მივალ, — ჩაილაპარაკა.

— როგორც გინდა... ხვალვე მივალ დირექტორთან და... ოღონდ რომელ სკოლაში გინდა?

— არ ვიცი... ჯერ არ ვიცი...

წარმოიდგინა, რომ სამუდამოდ უნდა დაშორებოდა თანაკლასელებს, მასწავლებლებს და გული შეეკუმშა, მაგრამ მერე ისიც წარმოიდგინა, როგორ აჩურჩულდებოდნენ თამთა და მაიკო, როგორ თანაგრძნობით დაუწყებდნენ ყურებას სხვები და თავი გააქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი ღელეს ავიწროებს —
სოფლის გამყოფ ზოლს.

გადაევლო შაშვი ხრამებს
და ჭახჭახში მხვევს,
თითქოს ერთი მუჭა ღამე
ხემ ესროლა ხეს.

## ვარხმელას მონოლოგი

იმერეთში, სოფელ თუზში
პატარა ნაკადულია,
უეცარი ადიდება იცის.

არვის მოსვლია ფიქრადაც
რუკაზე ჩემი გამხელა.
პატარას გულში მიკრავდა
ქვა-რიყე დაუძრახველად.

ჩრდილ-ჩრდილ ვიდოდი ნიადაგ...
ყველას კერია არ ღვივის.
მეც ვაცოცხლებდი ნიადაგს
ერთი პატარა ძარღვივით.

თავს მაინც სად გავამხელდი —
ძაფივით თითზე დახვევას...
იწვიმა, უცებ ავმხედრდი,
თქვეს: „რა ყოფილა ვარხმელა."

## ზღვა

გაშფოთებს სხვისი სიმაღლე,
ტალღებს ახეთქებ ცამდე.
მაგრამ უშბას და მყინვარწვერს
გაუსწორდები?
სცადე!

**ავთანდილ გურგენიძე**

## მე დაგითმობ...

მე დაგითმობ ბევრ რამეს,
მე დაგითმობ ბევრ ვინმეს, —
სულსაც, გულსაც, ტანჯვასაც —
ლექსებს რომ მაწერინებს...

მე დაგითმობ ოცნებას,
სიზმრებს ფერად-ფერადებს,
ზარებიან ზეიმებს,
აღლუმებს და პარადებს...

მე დაგითმობ სუფრებსაც
ლხინისთვის და ქეიფისთვის,
ვერ დაგითმობ, რაც მხოლოდ
მემეტება შვილისთვის...

მე დაგითმობ საბანსაც,
მცივან სხეულს გაგითბობ,
მაგრამ ქართულ ანბანსა?..
ვერაფრით ვერ დაგითმობ!

მე დაგითმობ მაისებს
აფეთქებულ კვირტებით,
მამა-პაპის საფლავსა?..
ვერა, ვერასდიდებით!

მე დაგითმობ კალმახებს,
რაც მოყვება ბადეში...
მაგრამ ქართულ მიწაზე...
დი-იი-იდზე დი-იი-დი ბოდიში!

## ღმერთო, მაცალე

რა უსაშველო იყო ტაროსი,
ქარი და წვიმა... თავსხმა და
დელგმა...
სამოსი აღარ შერჩა ტაროზე,
ჩამოიხია იღლია ლელვმა...

— ღმერთო,
მაცილე სხვა უარესი! —
გადაიწერა პირჯვარი გლეხმა.

## შენ მითხარი — დროშის გაშლა

იოლია
ლექსის წერა
ლამაზ დროშის
გაშლაზედა;
იოლია
ლექსის წერა
შოთაზედაც,
ვაჟაზედაც...
შენ მითხარი —
დროშის გაშლა,
განა მარტო
ღელვა, შფოთვა?
შენ მითხარი —
თვითონ ვაჟა,
შენ მითხარი —
თვითონ შოთა!

არა, ვეღარ წავა თავის სკოლაში... ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო. თითებში რაღაც მოხვდა, ხელი ამოიღო და პატარა ცისფერი ბუმბული კი შერჩა. ჩაეცინა და ცრემლები წამოუვიდა. თაყა, თაყა.... იცი, როგორ მიჭირს?

ანაზდად კარზე დარეკა ვიღაცამ. დედამ სიდონის გადახედა.

— სიდო, იქნებ სანტექნიკოსია, დილით დავურეკე, ცხელი წყლის ონკანი რომ მოიშალა... იქნებ გაგვიკეთოს, თორემ ორთქლის ბუღიღა დგას.

— როგორც გინდა, — მხრები აიჩეჩა სიდონიმ და ფანჯრისკენ წალასლასდა.

— აა, შენ ხარ, თაყა? — შეშინებულმა დედამ სიდონის მოხედა. — შემოდი, შემოდი...

სიდონიმ უნებურად ხელისგულზე დაიხედა.

— თაყა!... მოხვედი? — წაიჩურჩულა და ფანჯრისაკენ შეტრიალდა.

— შენ ხომ ჩემი სახელი ახსენე, სიდ, და... — გაუღიმა თაყამ.

ფანჯრის რაფიდან დამფრთხალი ჩიტი აფრინდა.

— ზაქარა იყო? — თვალი გააყოლა თაყამ.

— ჰო, — გაიღიმა სიდონიმ და ბუმბული ჯიბეში შეინახა.

# პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრებიდან



„რადგან დიდად მიგვაჩნდა საქართველო და გვქონდა ნატვრა მისდამი სამსახურისა ჩვენისა, ყოველნაირი მძიმე შრომა თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას და მის მომავალ ახალ თაობასაც შემწეობა სწავლაში და მეცნიერებაში“.

ეს სიტყვები ეკუთვნის აბატ პეტრე ხარისჭირაშვილს, საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილ ქართველს, დიდ საზოგადო მუშაკსა და სასულიერო პირს. „პეტრეს განკაცებული მამებით მოფენილია მთელი ევროპაო“, — ამბობდნენ მისი თანამედროვენი. გარდა დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისა, პეტრე ხარისჭირაშვილი ცნობილია იმითაც, რომ იგი იყო პირველი შემწე და ქომაგი უცხოეთში ბედის უკუღმართობით მოხვედრილი ქართველებისა. თანამოაზრეებთან ერთად იგი სისტემატურად დადიოდა კაიროსა და კონსტანტინეპოლის ბაზრებზე, ყიდულობდა მოტაცებულ და იქ გაყიდულ ქართველ გოგო-ბიჭებს, მიჰყავდა თავის მონასტერში, ასწავლიდა და სამშობლოსთვის გამოსადეგ ადამიანებად ზრდიდა.

დაიბადა 1814 წელს ჯავახეთში, ბარალეთში. მოღვაწეობა ახალციხის სამრევლო სკოლიდან დაიწყო, მაგრამ უფრო ცნობილია მისი ცხოვრების საზღვარგარეთული პერიოდი. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი ყოფილა კონსტანტინეპოლში გატარებული წლები. პ. ხარისჭირაშვილის მეცადინეობითა და თავკაცობით კონსტანტინეპოლში დაარსდა დიდებული ქართული მონასტერი სასულიერო სკოლითა და ქართული სტამბითურთ, რომელიც სულ მალე ნამდვილ კულტურულ-საგანმანათლებლო კერად იქცა. პეტრე აქ გამოცემული ქართული წიგნების უმეტესობას საქართველოში აგზავნიდა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლებას მოკლებულ ქართველ ყმაწვილთა საჭიროებისათვის. არანაკლებ ნაყოფიერად მუშაობდა მონასტერთან არსებული სასულიერო სკოლაც. საკმარისია ითქვას, რომ მან აღუზარდა საქართველოს მიხეილ თამარაშვილი და მიხეილ თარხნიშვილი, ბეირუთის უნივერსიტეტის პროფესორი, არაბისტი შალვა ვარდიძე და ეთიოპიაში მოღვაწე უნიჭიერესი ექიმი, დოქტორი მერაბიშვილი.

ცოტა მოგვიანებით, როცა კონსტანტინეპოლის ქართულმა ემიგრაციამ ღონე მოიკრიბა, პ. ხარისჭირაშვილმა საფრანგეთში გადაინაცვლა. აქ, პატარა ფრანგულ ქალაქ მონთობანში, მან დააარსა დიდი ქართული მონასტერი ქართული სტამბითურთ და განაგრძო ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

ვენეციის ყურეში არის ერთი კუნძული — სან-ლაზარო, რომელიც სომეხ ბერთა საკუთრებად დაუმკვიდრებია ნაპოლეონ ბონაპარტს. საყურადღებოა, რომ ამ კუნძულზე თავისი ბერული ცხოვრების სამი წელი გაუტარებია პეტრე ხარისჭირაშვილსაც, სომეხ ბერებს იგი აღფრთოვანებით მიუღიათ თავიანთ ძმობაში. მას დრო აქაც არ დაუკარგავს — გულმოდგინებითა და სიყვარულით გაუგრძელებია ქართულ წიგნთა გამოცემა, წიგნებს კი გამოსცემდა მართლაცდა სანიმუშოდ — მხოლოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

აი, ასეთი იყო კიდევ ერთი ქართველი მოღვაწე, რომლის ზნემაღალი ცხოვრების მიბაძვაც გვმართებს. მან ღრმა მოხუცმა — 83 წლისამ — დაასრულა სიცოცხლე კონსტანტინეპოლში.




მხატვარი გ. ფოცხიშვილი

მოთხრობა

უფრო ხშირად წვიმის შემდეგ, ღამით იცის ხოლმე ნისლმა ალაზნის ველზე ჩაგუბება, გაზაფხულობით და გვიან შემოდგომობით, ამინდი რომ გაბაიყუშდება, მაშინ.

ხო, ჩაგუბდება ღამით. დილით ცივგომბორის მთებიდან ალაზნის ველს რომ გადახედოთ, ისეა შიგ ნისლი ჩაწოლილი, ზღვა გეგონებათ. ნისლს დაუფარავს ჭალა, სახნავ-სათესები, ვენახები და ბაღები, უნაყოფო მლაშობი ადგილები, საძოვრები... მარტო ცაა სუფთა, კრიალა. შორს კი თითქოს ნისლის ზღვას დადარაჯებიანო, მედიდურად აზიდულან კავკასიონის ულურჯესი მთები.

ირიჟრაჟებს.

უღრუბლო ცას აღმოსავლეთიდან სისხლში გაბანილივით წითელი მზე შემოენთება. თითქოს ნიშანი მისცა, შენი ადგილი მანდ აღარ არიო, ნისლის ზღვა მძინარესავით შეიშმუშნება, გაიღვიძებს და აიზლაზნება. აქეთ, გომბორის მთებისაკენ მძიმე-მძიმედ, დაღლილი მგზავრივით დაიძვრება; ჯერ მთის ფერდობებს მიაწყდება, თან აყოლილი სიოთი ხეებს აშრიალებს, ტყეს შეაჩოჩქოლებს. ბალახს აბიბინებს და წვრილ, თვალით ძლივს შესამჩნევ წვეთებს შეატოვებს. რასაც მისწვდება და გადაუვლის, ასველებს, უჩინარი მხატვარივით ფერებს უფრო გააძლიერებს, გაამკვეთრებს.

წავა, გადაივლის ცივგომბორს და გამოჩნდება მზითა და სიცოცხლით სავსე, ულამაზესი ალაზნის ველი.

ხშირად ნისლი არ ჩქარობს. გეგონებათ, რაღაც დაავიწყდაო, მთის კალთებზე ასული შეფიქრიანდება, ფეხს მოიბოძიკებს, ტყესა და ღრეს მოედება, უფრო გახშირდება, იქაურობას ისე ჩამოაბნელებს, ნადირ-ფრინველს აურევს გზა-კვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვლადიმერ ასლამაზიშვილი-60



უმრავლესობას უთუოდ წაგიკითხავთ ვლადიმერ ასლამაზიშვილის სიკეთით გამთბარი მშვენიერი მოთხრობები, თქვენი თანატოლების სიხარულსა თუ საწუხარზე, საფიქრალსა თუ სატკივარზე რომ გვიამბობენ. წაგიკითხავთ და მოხიბლულხართ მწერლის ძარღვიანი ქართულით, თხრობის დახვეწილი სისადავით, მოზარდის ხასიათის ცოდნით. ამიტომაც ეჭვი არ გვეპარება, რომ ჩვენთან ერთად სიამოვნებით მიულოცავთ ბატონ ვლადიმერს დაბადების 60 წელს და მილოცვასთან ერთად სთხოვთ, რომ კიდევ მრავალჯერ გაგვეხარებინეთ თავისი ნაწარმოებებით.

იბორიალებს იქ ერთ დღეს, ორსა და მეტ ხანსაც, იტრიალებს წალმაუკუღმა, ვიდრე მთლად არ დაანესტიანებს ტყეს. სველი ფოთლები ვეღარ იკავებენ ზედ შერჩენილ წვეთებს, დამძიმებულები დაბლა იხრებიან და მსხვილი, გრილი წვეთები ძირს ცვივიან. იმ წვეთებით ილუმპებიან ხის ტოტები, ტყის ყვავილები, სველდება მიწა, სიკისკასე ემატება ნაკადულებს.

ნისლი მანამდე ბატონობს, ვიდრე ნიავი არ აუტყდება:

— კარგი, შე დალოცვილო, ამ ხეებს, ბუჩქებს, ბალახებს, ტყის არსებებს მზე დაანახვე, სითბო და სინათლე ნუ დაანატრეო, — წაუსისინებს ნისლს და დაუბერავს. ისიც ვეღარ გაუძალიანდება, სინესტისაგან დაცლილი და ძალაგამოლეული საჩქაროდ აიკრავს გუდა-ნაბადს, გადაივლის მთის კალთებს და გაუჩინარდება.

ერთხელ ერთი მწყემსი მეორეს არწმუნებდა, რომ უწინ ალაზნის ველმა ნისლი არ იცოდაო.

— ვითომ რატომ არ იცოდა? — გაკვირვებული დაეკითხა მეორე მწყემსი.

— ნისლი მერე გაჩენილა!

— როდის მერე, კაცო?!

— როცა ქიზიყელი გოგო ღმერთს ნისლად უქცევია! არ გაგიგონია?

— არა!

— გეტყვი, როგორც ვიცი!

— მიდი, შენი ჭირიმე!

— ის გოგო თურმე აი აქ, წმიდა ნინოს ტაძარი რო დგას, იმ მიდამოებში ცხოვრობდა. გვრიტივით მოხდენილი, ცამეტ-თოთხმეტი წლის ულამაზესი გოგო ყოფილა. იმ გოგოს გულის სწორი ჰყოლია, ჩვენებური, ქიზიყელი ჭაბუკი. დაუთქვამთ ქორწილის დღე. საპატარძლო, როგორც წესი და რიგია, თოვლივით თეთრ სამოსელში გამოწყობილა და გულის ფანცქალით ელოდება იმ ბიჭს. მაგრამ ის დღე ისე დაღამებულა, სასიძო არ გამოჩენილა, არც მეორე დღეს მოსულა. მესამე დღეს ვიღაცას ამბავი მოუტანია: კახეთს თათრები შემოსევიან და სასიძო ჩვენს ხელმწიფეს ომში გაჰყოლიაო.

გოგოს საპატარძლო კაბა არ გაუხდია, იგრევე დაუწყია ლოდინი ბიჭისათვის. თურმე გამოვა ყოველ დილა სახლიდან გარეთ „კუკლასავით" მორთულ-მოკაზმული, დაჯდება ერთ ამოჩემებულ ადგილზე, გადმოსცქერის ალაზნის ველს და ლოცულობს, ღმერთს ქართველების გამარჯვებას, საქმროს მშვიდობით, სახელოვნად დაბრუნებას ევედრება.

მიდის დღეები. ბიჭი არ ჩანს.

ის კი ლოცულობს, ლოცულობს და თვალები გზისკენ აწყდება...

ერთ დღესაც სახლიდან გარეთ რომ გავიდა, საპატარძლოს თავს ლეკები დაესხნენ, მოიტაცეს და ალაზნის ჭალისკენ გააქროლეს ცხენები.

— ღმერთო, — შეეხვეწა თურმე ის გოგო ტირილით ღმერთს, — ოღონდ ამ ურჯულოების ხელში ნუ ჩამაგდებ, ნუ მომაშორებ ჩემს მიწა-წყალს, აქავე მომსპე და გამათავეო.

ღმერთსაც შეუსმენია იმისი ხვეწნა, სასიკვდილოდ ვერ გაუმეტებია და ნისლად უქცევია. ლეკებს თვალსა და ხელს შუა გაჰქრობიათ ნადავლი. გაკვირვებულებს ჭალაში დაუწყიათ ძებნა. მაგრამ იმისთანა ნისლი ჩამდგარა, არემარე მთლად ჩამოუბნელებია. ტყვეს აღარ ჩიოდნენ ტიალები, ლამის ერთმანეთი დაკარგეს, შეშინდნენ და გადაწყვიტეს, შინ დაბრუნებულიყვნენ. ცხენები ალაზანში შეაგდეს. შუა წყალში რომ შეცურდნენ, ნისლი უარესად აირია, უარესად ჩამობნელდა, ცხენები დაბნეულან, ფონს ასცდენიან და მორევს ჩაუთრევია, თავის მხედრებიანად შიგ ჩამხრჩვალან და ჩაღუპულან.

ვენაცვალე იმის მადლსა, ლეკებიც და ცხენებიც ღმერთს კარჩხლებად უქცევია. იმიტომაც ერიდება კარჩხლებს კაციცა და პირუტყვიც.



ხოდა, იმის მერე შეეჩვია ნისლი ალაზნის ველსა. აი, იმ მთებს რომ შეუყვება. სადაც წმიდა ნინოს ტაძარია, იქ იცის ხოლმე დგომა; აღმართავლილი, დაღლილი მგზავრი რომ შეჩერდება სულის მოსათქმელად, აი, ისე შეყოყმანდება ხოლმე. თუ კარგად დაუკვირდები, ნისლში ულამაზესი ყმაწვილი ქალის სახე გამოჩნდება. თავზე ყვავილების თეთრი გვირგვინი ადგას, აცვია საპატარძლო თეთრი, გამჭვირვალე კაბა და დიდრონი, ნაღვლიანი თვალებით აქეთ, ალაზნის ველისაკენ იმზირება. მერე უცებ აირევა ნისლი, აიკრიბება მთაზე და მასთან ერთად ის სიმშვენიერეც სადღაც იკარგება. ქრება.



# უჩინარი ძალა

მოთხრობა

თოხი იქამდე ვქლიბე, სანამ პირი ჩემ გუნებაზე არ ავუწყე. მერე მოვძებნე მწვანე მუშამბის ძველი ჩანთა, შიგ ქაღალდში გახვეული შოთი პურის ნახევარი და ყველის ნაჭერი ჩავდე, ავიღე ჩანთა, მეორე ხელი თოხს დავავლე და ხევისკენ ფერდობზე დავეშვი.

იქამდე ფეხით თხუთმეტი-ოცი წუთია სავალი. არც უნდა ამდენი. დაღმართი თავისით მექაჩება ქვევით და მაიძულებს, ვიარო მარდად. ზოგან, სადაც დამრეცი ადგილებია, ჩავრბივარ კიდეც, თოხსა და თავს აკრობატული სიმარდით ვარიდებ გზის გაყოლებაზე მდგარი ხეებისა და ბარდების აქეთ-იქიდან გადმოშვერილ ტოტებს. რომლებიც ისედაც ვიწრო გზას უარესად ავიწროებენ. ჩემი ფეხების ტყაპატყუპით ატეხილ ხმაურზე ხან შაშვი გაფრთხიალდება ბარდებიდან ჭახჭახით, ხან სიმშვიდედარღვეული, ნაწყენი ჩხიკვი ჭრელი ფრთების ქნევით აიფოფრება რომელიმე ხის ტოტზე და გაჯავრებული ჩხავილით გადმომცქერის მაღლიდან.

გზა და ის ფერდობი, მე რომ ჩავირბინე, ხევისპირას მთავრდება. ხევი მზისაგან გაფიცხებული თეთრი რიყითა და შიგადაშიგ ამოჩრილი, მთის ფერდობებიდან დაგორებული ან ნიაღვრით ჩამოტანილი ქვებით არის მოფენილი. რიყესა და ქვებში გზა გაუკაფავს ხევისწყალს.

ხევისწყალი მთელი ხეობის სიგრძეზე პატარ-პატარა წყაროებით იკვებება. წყაროები ცივი, სუფთა და კამკამაა. მიუხედავად ამისა,ხევისწყალი დასალევად მაინც არ ვარგა. იმიტომ, რომ ჩემი სოფლიდან ხეობაში გაყონილი ჭუჭყიანი წყლები ერევა. ის მარტო ხევის პირებზე გაშენებული, ჩიტის ბუდეებივით შემოღობილი ბოსტნების სარწყავად ვარგობს. კიდევ იმისთვის, რომ იდინოს, იჩხრიალოს, ხეობა აახმიანოს, სიმწვანე და სიხასხასე შემატოს მცენარეებს.

ადრე ხევისწყალი დიდ მოვალეობას ასრულებდა. ხეობის ორივე მხარეს, მცენარეთა მწვანე ტევრში შეყუჟულ, წითელი კრამიტით გადახურულ წისქვილებს აბრუნებდა. მხიარულად შხუოდა ღარში მიგდებული წყალი და გაჰქონდათ დაგადუგი დოლაბებს. ხეობა სავსე იყო მძიმე ტომრებაკიდებული სახედრებით, ცხენებით. დაჭრიალებდნენ ურმები, დადიოდნენ სახრე ან მათრახმომარჯვებული ადამიანები.

— შენხელა რომ ვიყავი, მაშინ, ომის დროს, ბევრჯერ წამიღია საფქვავი წისქვილში. ავიკიდებდი ზურგზე ტომარას და ხევ-ხევ მივბრაცუნობდი! — მომიყვა ერთხელ მამაჩემი.

თურმე ხევისწყალს და მის მკვებავ წყაროებს მეწისქვილეები თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. სახედალაგულაგებულები და ჯანმრთელები, მთლად თეთრად გაფქვილულები აიკვალთავდნენ ჩოხის კალთებს, მხარზე გარდიგარდმო თოხებს გაიდებდნენ, აუყვებოდნენ ხევს აღმა და წყალს წისქვილისკენ გზას უკვალავდნენ. ანწლებსა და ბარდებში გაპარულ პატარა ნაკადულსაც არ ტოვებდნენ უპატრონოდ. წვეთი წვეთს ჰკარ, ზღვა გახდებაო...

გაჩნდა ელექტროწისქვილები და წყლისამ თანდათან დაკარგა მნიშვნელობა და მიმზიდველობა. მეწისქვილეებს საფქვავი შემოაკლდათ. ჯერ ერთი წისქვილი გაჩერდა, მერე — მეორე, მესამე... გაჩუმდნენ დოლაბები. დრო-ჟამმა თავისი მძიმე ბრჭყალი დაატყო წისქვილებს. ზოგს უპატრონობისაგან ჭერი ჩამოექცა, დაილეწა კავი და კრამიტი, ბევრს საშენ მასალაზე გაწუწკებულმა ადამიანებმა მოუღეს ბოლო. გაზიდეს ქვა, აგური, ფიცარი, კოჭი... რაც დარჩა. ზედ ანწლმა და ჭინჭარმა გადაუარა, ეკალ-ბარდმა დაფარა.

ხეობა დაცარიელდა. იქ ახლა იშვიათად შეხვდებით სახედრიან ან ცხენით ავლილ-ჩავლილ მგზავრს.

ნიათი გამოეცალა ხევისწყალსაც.

დაიკარგა ბევრი წყარო. მთის ფერდობებზე ჩამოშვავებულმა მიწამ და ნიაღვრებმა დაღუპეს და მოშალეს მათი სათავეები. ვინ იცის, მიწის წიაღში საით მიიკვლევენ გზას.

გადარჩა წყაროთა ნაწილი და ხევისწყალი იმათი შემწეობით არსებობს და იკვებება.

წყარო ჩემს ბოსტანშიაც ამოჩუხჩუხებს.

ჩემსას იმიტომ ვეძახი, რომ ბოსტანი მე თვითონ გავაკეთე. არც მამა მომხმარებია, არც არავინ. ხევის მარჯვნივ, მთის ფერდობი რომ მთავრდება, წყაროს იმის ძირში შემთხვევით მაყვლის კრეფისას წავაწყდი, მიწიდან ამოდიოდა და ჩუმად მიიპარებოდა ანწლებში, მერე ქვიშაში იკარგებოდა. წალდით მაყვლის ბარდი გავკაფე, ანწლი გამოვთიბე, იქაურობა ქვა-ღორღლისაგან გავათავისუფლე და ერთი კარგი საჭიდაოსხელა ადგილი შემოვღობე. წყაროს მეტი შვება რომ ეგრძნო, მის გარშემო მიწა გობივით მოვახალვათე. მიწიდან ამოსული წყალი იქ ჯერ გუბდება, თითქოს ფიქრობს, საით წავიდეო, მერე ფერდობის ძირში პატარა ნაკადულად მილიკლიკებს, გადის ბოსტნის ბოლოში და ხევისწყალს უერთდება.

წყაროსთან ნიაღვრისაგან საიდანღაც მოტანილი, ლოდებზე ნაბეგვი ვერხვის მორი მოვათრიე და დავაგდე, ხარის რქასავით გაშვერილ როკზე თიხის ტოლჩა ყურით დავკიდე. ბოსტანში მუშაობისას დროდადრო იმ მორზე ჩამოვჯდები ხოლმე, ვისვენებ, იქვე შემიძლია ხელ-პირის დაბანა და ცივი ანკარა წყლით წყურვილის მოკვლა.

ხევში სხვებსაც აქვთ ბოსტნები. მიწა ხევისთვის გამოუტაციათ. „გამოუტაციათ“-მეთქი, იმიტომ ვამბობ.

რომ ზოგს საბოსტნე ადგილი მსხვილი მორებითა და ქვაყრილით, მარგილებითა და მავთულბადით გაუმაგრებია, შიგადაშიგ წნორი, ტირიფი და ვერხვი დაურგავს. ასეთი ღობეები საიმედოდ იცავენ ბოსტნებს მთებიდან მოვარდნილი ნიაღვრებისაგან. თუ ღობე არ არის გამაგრებული, მტრის კარს, რაც იმ ბოსტანს დაემართება: ღვარცოფი ადვილად იჭრება შიგ და მთელ ნაშრომ-ნაამაგარს რიყით ავსებს, ნათესს ანადგურებს. აქ სად ჩამოვთვალო, რამდენი ჩემი მეზობელი დაუღონებია ღვარცოფს. ბევრს ისე გასტეხია გული, ხევზე მთლად აუღია ხელი და სხვა ადგილას გაუკეთებია ბოსტანი.

თუმცა მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. უმრავლესობა მაინც ეტანება, იმიტომ, რომ ხევში წყალია და გვალვის დროს ნათესები ირწყვება. მებოსტნის შრომა ერთიორად ფასდება, გულს რომ გაუხარდება, იმისთანა მოსავალი მოდის: სიმინდი, ლობიო, მზესუმზირა, პამიდორი, მწვანილი.

ჩემს ბოსტანში იმსიმაღლე სიმინდი შრიალებს, შიგ ცხენიანი კაცი დაიმალება, სულ მწვანედ სივსივებს. მერე ტაროები? თითო ძირს სამ-სამი, ოთხ-ოთხი მკლავის სიგრძე ტარო აყრია. ჩამოახევ ფუჩეჩს და თეთრი ან ოქროსავით მბრწყინავი მარცვლები შემოგცინებენ. სუნიც საოცარი აქვთ: სკიდან ახლადამოღებული თაფლივით სასიამოვნო და მათრობელა. მარცვალი ჯერ ჭყინტია, თითი რომ დააჭირო, რძე ამოუვა, დედის რძესავით თეთრი, სპეტაკი და ნოყიერი, სიცოცხლის მომნიჭებელი.

ბოსტანი შრიალ-შრიალით შემომეგება, ლამის ხევის ნიავის კროლვამ თან გაიტაცოს სიმინდის გრძელი, მახვილივით წვეტიანი ფოთლები. თავები დაუხრიათ და ოდნავ აქეთ-იქით ირხევიან ყვითლად აყვავებული მზესუმზირები. მწვანედ გაუდის ღაღანი სარზე ასულ ლობიოს. ნიავს შორიდანვე მოაქვს ქინძისა და ქონდრის სურნელი, ძირს დაფენილ, მწვანე ხავერდის ფარდაგებივით მოჩანან ოხრახუშის, წიწმატის და სალათის კვლები. ბზუიან ფუტკრები, კომბოსტოს ფოთლებს დასტრიალებენ თეთრი პეპლები.

მუშამბის ჩანთა ვერხვის მორზე დავდე, თიხის ტოლჩით წყაროდან წყალი ამოვიღე და დავლიე. ვაჟას „მთის წყარო“ გამახსენდა: „უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა, რამდენი დაღლილ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის: „დაილოცე, ცივო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?!“

ორიოდე მუჭა წყალი სახეზე შევისხი. წყაროს სიგრილე მეც გადმომედო. მესიამოვნა. ტოლჩა როკზე დავკიდე და თოხი მოვიმარჯვე.

ჯერ პამიდორს გამოვუთოხნე ძირები, მერე სიმინდსა და მზესუმზირას მივყევი. ვთოხნი დაბეჯითებით, თავაუღებლად. ალესილი თოხი შრომას მიადვილებს, ბალახს ზოგს ძირში ვსხეპ, ზოგსაც, რომელიც სიმინდის ან მზესუმზირის ძირშია ამოსული, ხელით ვგლეჯ, რომ თოხის პირით არ დავაზიანო.

კარგა ხანს ვთოხნე. მზე საშუადღეოზეა ასული. ოფლი ღვარივით ჩამომდის თავ-პირზე. მოკლემკლავება, სალათისფერი პერანგი დამისველდა, მალ-მალე ვსწორდები წელში და მოღელილ მკერდს ხევის ნიავს ვუშვერ, რომ ცოტათი მაინც გავგრილდე.

— სიცხეში ბევრი წყალი არ დალიო, სიზანტე იცის, საქმეს მუყაითად ვერ მოეკიდები! — გამაფრთხილა ერთხელ მამამ და მეც წყაროსთან იშვიათად მივდივარ. მაგრამ შიმშილს სად გავექცევი? დილით საუზმე არ მეჭამა და მალ-მალე იქით ვიყურები, სადაც მუშამბის მწვანე ჩანთა დევს.

საქმეს მაინც არ ვუღალატე. რწყვით გალაღებული სარეველა ბალახი პირწმინდად გამოვთოხნე, მოვაგროვე ერთად და ღობის იქით ხევში გადავყარე.

თოხი სიმინდებში მივატოვე. მიწიანი ბალახის გლეჯით გამწვანებული ხელები წყაროზე დავიბანე, ვერხვის მორზე ჩამოვჯექი. ჩამომდის წუწი, გავგრილდი, გამოვცოცხლდი.

წყაროსთან სხვა მხრივაც გრილა. ჩემს ზურგს უკან, ორიოდე მეტრის მოშორებით, წალდით გასუფთავებულ ფერდობზე ნორჩი მუხა დგას. ოდნავ აქეთ გადმოხრილა და ქოლგასავით დასდგომია წყაროს. ირგვლივ მშვენიერ ჩრდილს აყენებს, თაკარა მზის სხივებს ჩემამდე არ უშვებს.

ჩანთა ახლოს მოვიჩოჩე. გაზეთში გახვეული პური და ყველი ამოვიღე, მორზე დავდე. შევედი კვლებში, მოვკრიფე ცოტაოდენი მწვანილი და წყაროზე გავრეცხე, „სუფრა“ ფოჩიანი ხახვით, სურნელოვანი ქონდრით, რეანდით და ოხრახუშით დავამშვენე. ვიდრე პურის ლუკმას ჩავიდებდი პირში, პირჯვარი გადავიწერე — მამამაც ასე იცის და დედაჩემმაც. ღმერთო, უხვად მოგვამადლე ცისა და მიწის ბარაქაო, მეთქი, წავიჩურჩულე და პური გავტეხე. რასაც ვჭამ, გემრიელი მეჩვენება: პური, ყველი, ორიოდე წუთის წინ მოკრეფილი მწვანილი. მარილი არა მაქვს და ოხრახუშს მლაშე ყველს ვატან. ვილუკმები გემრიელად, ზედ ცივციველა წყალს ვაყოლებ და ვფიქრობ, საუზმის მერე რა უნდა გავაკეთო: ჭამას რომ



მოვათავებ, ვერხვის მორზე ცოტა ხანს კიდევ ვიჯდები, დავისვენებ; ყურს მივუგდებ ხევისწყლის შხუილს, სიმინდისა და, თავზე მუხა რომ გადმომცქერის, იმის შრიალს, მოვუსმენ შაშვების სტვენას, ქვევით, სადღაც, ნაწისქვილართან, ჩხიკვების ჩხავილს, გუგულების „გუგუს“ და მოლაღურის „ბიჭო გოგიას“.

სასიამოვნო ფიქრები ზურგს უკან ატეხილმა ფაჩუნმა დამირღვია:

— ფაჩ-ფუჩ, ფაჩ-ფუჩ.

შევბრუნდი მარჯვენა მხარეს, კისერმოღრეცილმა თვალი ფერდობს შევავლე. კარგა ხანია, წვიმები არ ყოფილა და მუხის ქვეშ მიწა მშრალი, გახრიოკებული, უბალახოა. თითო-ოროლა გვალვაგამძლე მცენარე გალაღებულა, შარშანდელი გამხმარი ფოთოლი ყრია.

ფაჩუნი უცებ შეწყდა. მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზი მალე აღმოვაჩინე. ჩურჩხელასავით წაგრძელებულ, ტანწვრილა დედოფალას მოვკარი თვალი. უკანა ფეხებზე დაცუცქულიყო და კისერწაწვდილს მტრედის კვერცხისოდენა თავი ჩემსკენ მოებრუნებინა, თავგისებური, წვრილი თვალებით მომშტერებოდა.

ასე ახლოს, ისიც ტყე-ღრეში, დედოფალა არ მენახა. ბუნებას მშვენიერი ქათიბით დაეჯილდოებინა. მთლად წაბლისფერი ბეწვით იყო შემოსილი. მარტო გულისპირზე, გეგონებოდათ, ცარცი ჩამოუსვამთო, ვიწრო, თეთრი ზოლი ჩასდევდა.

ხმაური რომ არ გამომეწვია და დედოფალა არ დამეფრთხო, მეც გავირინდე. ვიჯექი მორზე გასუსული, ნახევრად ფერდობისკენ შებრუნებული და მოთმინებით ველოდებოდი, როდის მოიგუნებებდა თავისით წასვლას. ის კი არ ჩქარობდა. ისევ იმ პოზით მიყურებდა: ჩურჩხელასავით გრძელი, კისერშემაღლებული და ჩემსკენ თვალებმოშტერებული. არც მე გავტოკებულვარ, ლამის სუნთქვა შევწყვიტე.

ერთმანეთის ცქერაში, დიდი-დიდი, ერთი წუთი გავიდოდა. დედოფალამ ალბათ იფიქრა, რომ მისთვის არავითარი ზიანის მიყენება არ შემეძლო, და უცებ ამოძრავდა, პირი საითაც ჰქონდა, იქით, მარჯვნივ გაიქცა. სწრაფად გაირბინა ორიოდე მეტრი, შვინდანწლის გამხმარ თევგთან გაჩერდა, უკანა ფეხებზე აიტოტა, აიწია მთელი ტანით და გამომხედა. არც მაშინ გავნძრეულვარ.

— კეთილი და პატიოსანი, რაკი არ ინძრევი, არც ისეთი საშიში ყოფილხარ, როგორც მე მგონია! — ვიცი, ასე გაიფიქრა ჩემზე დედოფალამ და მშვიდად განაგრძო გზა. ბარდებში მიიმალა. მარტო იმისი თათებით ატეხილი ფაჩუნილა ისმოდა, ბოლოს ისიც მიწყდა. მეშველა. მორზე გავსწორდი, ხელში შემორჩენილი პურისა და ყველის ჭამა გავაგრძელე.

ხო, კიდევ რას გავაკეთებ?

შინ წასაღებად ერთ მოხარშვა მწვანე ლობიოს მოვკრეფ, დედაჩემმა დამაბარა. ისიც ჩამომითვალა, ლობიოს შესაკმაზად რა მწვანილეულია საჭირო: აყვავებული ქინძი, პიტნა, ხახვი.

უცებ ჩიტების ჟივილ-ხივილი ატყდა. საიდანღაც ბეღურების გუნდი გადმოევლო ჩემს მაღლა მუხას. ბოსტანში შემოსასვლელი რომ მაქვს დატანებული, მის ახლო ღობეზე დაფრინდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოახერხა წესიერად დაჯდომა, ერთმანეთს ეძგერნენ, აირდაირივნენ და იმისთანა წეწვა-გლეჯა გამართეს, იმათი ბუმბული პეპლებივით აიშალა ჰაერში. ჩხუბობდნენ ორ-ორი, სამ-სამი, ხან ყველა ერთად, ფრთებ და ფეხებგაფარჩხულები იჭედებოდნენ ღობის ჩინჩხვარებში. იქიდან დაბლა ლობიოს ნათესში ჩაცვივდნენ, ახლა იქ დაერივნენ ერთმანეთს.

ღმერთო ჩემო, ამათ რაღა აჩხუბებთ, რა აქვთ გასაყოფი?

ჩიტების დაშოშმინება ვცადე და ტაში შემოვკარი. ტაშის ხმა ხევში თოფის ქახანივით გაისმა. ჩიტებმა ჩხუბი შეწყვიტეს. ჯერ გაირინდნენ, მიჩუმდნენ. ორიოდე, ყველაზე გაბედული ბეღურა ლობიოებიდან მაღლა ამოფრინდა, ღობის ჩინჩხვარზე შემოჯდა და დამფრთხლებმა აქეთ-იქით ცქერა დაიწყეს.

მეორედ შემოვკარი ტაში.

ღობეზე მსხდომნი შეკრთნენ და ჰაერში აიჭრნენ, მათ ღობის ძირიდან მთელი გუნდი მიჰყვა. გადმოუფრინეს მუხას და ზევით ფერდობისკენ გაილალნენ. ახლა იქ დაირივნენ, იქ გამართეს ჟივილ-ხივილი.

პური და ყველი ისე შევსანსლე, ნამცეცი არ დამიტოვებია, არც მწვანილი დამრჩენია შეუჭმელი.

იმ დღის შრომითა და გემრიელი საუზმით კმაყოფილმა, ერთი ტოლჩა წყალი სვენებ-სვენებით, ყლუპყლუპით გამოვცალე და ნაცნობი ფაჩუნი გავიგონე. შევბრუნდი მუხისკენ. ისევ იმ ადგილას, მუხის ძირში დედოფალა მოცუნცულებულიყო. პირში ნანადირევი, ნაცრისფერი თაგვი ეჭირა და დაცქვეტილი მიყურებდა. მხოლოდ ერთ-ორ წამს ვათვალიერეთ ერთმანეთი და დედოფალა თავისი ნადავლით რამდენიმე ნახტომით გასცილდა მუხას, მიწამდე დაშვებული ზღმარტლის გაბუჩქულ ტოტებქვეშ გაუჩინარდა.

შვილები ეყოლებოდა. ნანადირევს იმათ მიართმევდა სამიძგნად. და რაკი თაგვის ბუდეს მიაგნო, აღარ მოეშვებოდა, იმათ გასაგისს გააქრობდა. ვიცოდი, მალე უკან მობრუნდებოდა დედოფალა. ნადირობაში ხელი რომ არ შემეშალა და ერთმანეთის ცქერაში დრო არ დაგვეკარგა, ჩანთა ავიღე და ლობიოს ნათესში შევედი.

შუადღე, რახანია, გადავიდა. მზე დასავლეთით ტყიან გორაკს მოეფარა. ხეობაში მთების ჩრდილი ჩაწვა. აგრილდა. მომძლავრდა ნიავი. რასაც ტოკვა და შრიალი შეუძლია, ყველაფერი ტოკავს და შრიალებს, მათ საერთო ხმაურს ხევისწყლის ჩხრიალი, ფრინველთა გაძახილ-გამოძახილი, სტვენა, გალობა თუ ჩხავილი ემატება.

ჩანთა მტკაველ-მტკაველა მწვანე ლობიოთი გავავსე, ზევიდან თითო ბლუჯა ქინძი, პიტნა და ფოჩიანი ხახვი დავაწყე.

შინ წასვლის დროა.

ბოსტნის შესასვლელში ძეძვის კონა ჩავდე. ძეძვი ეკლიანია და საქონელი ერიდება.

დავადექ მთის ფერდობზე ამავალ ბილიკს. შინ მივდივარ და ვგრძნობ, უკან რაღაც უჩინარი ძალა მეწევა. ვჩერდები. ზურგისკენ ვბრუნდები და ქვევით მთის ჩრდილებით ჩამუქებულ ხეობას ჩავცქერი.

— მიწის მუშა მუდამ გრძნობს მიწის ძალას. მიწა მუდამ ეძახის, ანდამატივით ეწევა თავისკენ. ბედნიერია ის, ვინც ამ ძალას გრძნობს! — თქვა მამამ, როცა ერთხელ ვენახში ვმუშაობდით.

ჩავცქერი ხეობას და ვიცი, ის ძალა, უკან რომ მეწევა, იმ პატარა, ჩიტის ბუდესავით შემოზღუდული მიწის ნაწილიდან მოდის. იქ ახლა ხევის ნიავი დათარეშობს, შრიალებს ფერდობზე გადმომდგარი მუხა, შრიალებენ სიმინდები, ტოკავენ ყვითელგვირგვინიანი, თავდახრილი მზესუმზირები, ფერდობის ძირში ბროლივით წყარო ამოჩუხჩუხებს და რიყეზე შხუილით მიმავალ ხევისწყლისაკენ მიისწრაფვის.

ღმერთო, მუდამ გვაგრძნობინე მშობლიური მიწის ძალა! ნუ მოგვიშლი ამ ბედნიერებას!

# სვანური კოშკების სამყაროში

დენიზა გოზალიშვილი

ცენტრალური კავკასიონის ძირას მდებარეობს საქართველოს ულამაზესი კუთხე — სვანეთი. აქ თავი მოუყრიათ კავკასიონის მწვერვალებს. საქვეყნოდ განთქმულ უშბას, თეთნულდს, შხარას... სვანეთის უმდიდრესი თვითმყოფადი კულტურა, შუა საუკუნეების ბაზილიკები, კოშკები და მაჩუბები მრავლად იზიდავს მოგზაურობის მოყვარულთ, მთამსვლელებსა და სამთო ტურისტებს. სწორედ აქ, მულახის თემის ულამაზეს სოფელ ჟაბეშში დაიდეს ბინა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ნორჩ მოგზაურთა კლუბის წევრებმა: ნორჩმა არქეოლოგებმა, ისტორიკოსებმა, გეოლოგებმა, ტურისტებმა და მხარეთმცოდნეობის განყოფილების სხვადასხვა სექციისა და წრის წევრებმა. სანახავი კი ძალზე ბევრი და საინტერესო იყო. ამის შესახებ გვიამბობს მონაწილეთა შთაბეჭდილებები.

●

ჩვენი გზა სვანეთისაკენ ზუგდიდიდან დაიწყო. გავიარეთ მწვანეში ჩაფლული ლამაზი სახლებით დამშვენებული სოფელი ჯვარი. მოასფალტებული გზა ენგურჰესს მიუყვება. ყველაფერი საინტერესო და უჩვეულოა. აი, გამოჩნდა პირველი სვანური სოფლები თავიანთი უძველესი კოშკებით.

ნათია ხულუზაური

●

როგორც ყოველთვის, დიდებული სანახავი იყო ზვიადი უშბა.

●



გავჩერდით მულახის თემის ყველაზე განაპირა სოფელ ჟაბეშში, მოზარდ მთამსვლელთა სპორტულ სკოლაში. ჩვენი მასპინძელია მისი დირექტორი, ცნობილი მთამსვლელი, სსრკ სპორტის ოსტატი ჯუმბერ კახიანი.

სოფელი ჟაბეში თითქოს ქათქათა თეთნულდის უბეში შეყუჟულა და მთის გიჟმაჟი მდინარეების, წანერისა და ტვიბერის შესართავთან სამუდამოდ დამკვიდრებულა. ორივე მდინარე, რომლებიც სათავეს ამავე სახელწოდების მყინვარებიდან იღებენ, შემდეგ მულხურას სახელით მოედინება. ტვიბერისა და წანერის უღელტეხილებით მთამსვლელები და ტურისტები ყაბარდო-ბალყარეთიდან გადმოდიან. ჩვენი კეთილი მასპინძელი ყურადღებას არ გვაკლებს, სურს, ყველაფერი გვანახოს, რაც საქართველოს ამ დიდებულ კუთხეშია. ყურადღებას არ გვაკლებს ექიმი ლილი ჯაფარიძეც. დავუმეგობრდით ჩვენს თანატოლ სვეტა კახიანს, პატარა გიორგისა და მარიკას. ჩვენი თანამგზავრია ჯაჯუ ავალიანი.

გიორგი ჯანჯალია

●




ამ მარშრუტით იარეს ტურისტული ლაშქრობის მონაწილეებმა.

სოფელი ჟაბეში თეთნულდის ერთ-ერთი კალთის ძირშია მიყუჟული.

თეთნულდი, სვანურად — თეთვნულდ — თეთრი თოვლის სამოსელში გახვეული, უჩვეულო სანახაობაა. იგი დიდხანს ლეგენდებით იყო მოცული. პირველად მის მწვერვალზე ქართველმა მთამსვლელებმა 1930 წელს ააბიჯეს. ესენი იყვნენ ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, მოხევე იაგორა კაზალიკაშვილი და სვანი ადსილ ავა-



რამდენ რამეს გაახსენებს გოგო-ბიჭებს ეს სამახსოვრო ფოტოსურათი.

ლიანი სოფელ პადიშიდან. ახლაც, ჩვენი აქ ყოფნის დროს, გერმანელი მთამსვლელები ცდილობენ მის დაპყრობას.

ლევან სულაშვილი

●

უშბა კავკასიონის სიამაყეა, რომელსაც შორს აქვს განთქმული სახელი უჩვეულო სილამაზისა და მიუვალობის გამო.

უშბას ორივე მწვერვალს ვუყურებთ და ვტკბებით.

ქართველთაგან პირველად იგი 1934 წელს დაიპყრო ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფმა გულას მყინვარიდან, რომელსაც ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ. 1937 წელს იგი კლდოვანი კედლიდან დაიპყრო გაბრიელ ხერგიანის ჯგუფმა. ჩრდილოეთ უშბაზე ასვლისათვის მიხეილ ხერგიანის ჯგუფი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ამ ჯგუფში იყო ჩვენი მასპინძელი ჯუმბერ კახიანიც.

1950 წელს თავისი მეგობრის, ალიოშა ჯაფარიძის ჩანაფიქრი — უშბა-შხელდის მწვერვალების ტრავერსი — ბრწყინვალედ განახორციელა გამოჩენილმა ქართველმა მთამსვლელმა კაკო მარმა სვან მთამსვლელებთან ერთად.

ვდგავართ ულამაზეს მდინარე დოლრას ხეობაში, ვტკბებით უშბის ზვიადი გარეგნობით. მის ძირში ლამაზი სოფლებია — მაზერი და უშხვანარი.

მაია სუმბაძე

## ჟამუშის ტრაგედია

მულახის თემში, ჟაბეშის გარდა, სხვა სოფლებიც შედის: ქვედა მულახი, მურშკელი, მაჯდიერი, ჩვაბიანი, ცალდაში, ჭოლაში, ჟამუში, ლახირი. ყოველ ამ სოფელს თავისი განუმეორებელი სილამაზე აქვს. ჭოლაშის შემდეგ მივადექით სოფელ ჟამუშს. ამ რამდენიმე წლის წინათ ქვეყანა შესძრა სოფელ ჟამუშის ტრაგედიამ: მთიდან მოწყვეტილმა მოულოდნელმა ზვავმა თავადი კოშკის ირგვლივ ელვისებურად მოსპო და გაანადგურა ყოველივე, იმსხვერპლა 26 სიცოცხლე ნავერიანების გვარიდან. იქვე, სოფლის ცენტრში, სათუთად არის მოვლილი მათი საფლავები. დაღუპულთა შორის ჩვენი ტოლებიც იყვნენ. დიდხანს ვიდექით თავდახრილნი მათ წმინდა საფლავებთან.

სოფელ ჟამუშის გადარჩენილმა ნაწილმა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ჩვენი დიდი ინტერესი გამოიწვია. აქ, კოშკის ირგვლივ, განლაგებული იყო ძველი საცხოვრებელი სახლი — მაჩუბი, საქონლისა და ფრინველების სადგომები, შუაში — შესაკრები ადგილი სამსჯელოდ და სათათბიროდ.

ჟამუშიდან გავემართეთ ზემოთ, სოფელ ლახირისაკენ. ავედით სოფელში. დაღლილებმა სოფლის ცენტრში შევისვენეთ და ცივი წყლით გული გავიგრილეთ. განცვიფრებული ვუმზერდით ზეცამდე აზიდულ კოშკებს. 18 კოშკიან სოფელ ლახირს „კოშკების სამყარო“ ვუწოდეთ. ამ სოფელში შევხვდით ჩვენს თანატოლებს, ვესაუბრეთ კოშკებისა და ეკლესია-სამლოცველოების მდგომარეობაზე.

თემურ ბუდაძე

●

ჩვენ უღვირის უღელტეხილით მივდივართ სოფელ კალაში. გზად იფარის ცნობილი ბაზილიკაა საინტერესო ფრესკებით (კედლის მოხატულობით). საერთოდ, სვანეთში გუმბათიანი ეკლესიები არ გვხვდება, აქ გავრცელებულია ბაზილიკური ეკლესიები. კალაში მთის წვერზე სვანეთის მთავარი სალოცავი, წმიდა კვირიკეს ეკლესიაა. კალადან უშგულამდე წინათ ბილიკი მიდიოდა, ახლა კი ენგურის ხეობაში გაჭრილია 7 კმ-იანი სამანქანო გზა. ადგილ-ადგილ იგი ზედ უფსკრულის პირს მიუყვება.

თეა ტურაშვილი



ჩვენს წინ უცბად გაიშალა ენგურის ხეობა ჟამისაგან ჩაშავებული კოშკებით, ძველი სვანური მაჩუბებითა და დათოვლილი მწვერვალებით. ეს უშგულია, რომლის სახელითაც ოთხი სოფელია გაერთიანებული — ჩვიბიანი, ჟიბიანი, ჩაჟაში და მურქმელი. სოფლის დასაწყისში, ერთ-ერთ კოშკში, მუზეუმია, სადაც თავმოყრილია არქეოლოგიური და საეკლესიო ჭედური ხელოვნების ძალზე საინტერესო ნიმუშები. განსაკუთრებით გამოირჩევა ხის ჯვარი.

გიორგი სუმბაძე

საოცარ სანახაობას წარმოადგენს ლამარიას (წმინდა მარიამის) ეკლესია თავისი კოშკით, რომლის ფონზე ჩანს შხარას კლდოვანი მასივი და რუსთაველის სახელობის მწვერვალი. შხარი საქართველოს უმაღლესი მწვერვალია. იქვე, ახლოს, დასაწყისს იღებს მდინარე ენგური. ამ შესანიშნავი სურათის დაგვირგვინებაა მთაზე წამომდგარი თამარის ციხე...

უშგულიდან გზა მიდის სვანეთის ქედზე, ატკვერის უღელტეხილზე და ჩადის ქვემო სვანეთში, ლენტეხის რაიონში.

ეკა დუდუჩავა

## ბეთქილის კლდე

სვანური ფოლკლორი მდიდარია გადმოცემებითა და ლეგენდებით. მათგან ძალზე საინტერესოა ლეგენდა ბეთქილზე. ბეთქილი, ჟაბეშელების გადმოცემით, აქაური მონადირე ყოფილა, განთქმული ვაჟკაცობითა და სილამაზით. ერთ-ერთი ნადირობის დროს დაუნახავს ნადირობის ქალღმერთ დალის და შეჰყვარებია. სვანი მონადირეც მოხიბლულა მისი სილამაზით და სამუდამო ერთგულება შეუფიცავს.

მაგრამ ბეთქილს თავისი თანასოფლელი თამარი მოსწონებია და მისი ცოლად შერთვა განუზრახავს. ქორწილის დღეს დალის თეთრი ჯიხვის სახე მიუღია და ბეთქილი სახლიდან გამოუტყუებია. მიხტოდა თურმე თეთრი ჯიხვი და უკან მისდევდა ბეთქილი. ვაჟი ნადირობის ჟინში შესულა და ამ ქვეყნად ყველაფერი დავიწყებია. დალი თანდათან იტყუებდა მას მაღლა, კლდეებისაკენ, და დასაღუპავად მიჰყავდა. ეს, რა თქმა უნდა, ლეგენდაა, მაგრამ ერთ მაღალ კლდეზე ახლაც მოჩანს ვიწრო დერეფანი, სადაც უკანასკნელად მდგარა ბეთქილი. დალის კვლავ თავისი სახე მიუღია და ბეთქილისათვის უთქვამს, რომ მან შური იძია ღალატისათვის.

ამ დროს მექორწილენი და მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა, მდინარე წანერის მეორე ნაპირზე მდგარა კლდის გასწვრივ და იქიდან ამხნევებდა ბეთქილს, რომელიც უკვე თავს ვეღარ იკავებდა, მუხლები უკანკალებდა და, აი, გადაიჩეხა კიდეც უფსკრულში. თამარმა დანა ჩაირტყა გულში. ასე ტრაგიკულად დამთავრებულა ეს ამბავი. ბეთქილის კლდემდე 4 საათის სავალია მდინარე წანერის ხეობაში.

ლეგენდარული ადგილები მოვინახულეთ და თავი ჩვენც ლეგენდაში გვეგონა.

შორენა სიხარულიძე

ზემო სვანეთის რაიონულ ცენტრ მესტიაში განლაგებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელშიც თვალნათლივ არის წარმოდგენილი სვანეთის მდიდარი წარსული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა არქეოლოგიური მასალა. სვანეთში ამჟამადაც მუშაობს არქეოლოგიური ექსპედიცია შოთა ჩართოლანის ხელმძღვანელობით. ძალიან დაგვაინტერესა სვანურმა დროშამ „ლემმა“. აქვე გავეცანით გამოჩენილ მთამსვლელთა სპორტულ ბიოგრაფიებს, დავათვალიერეთ მშენებარე მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მესტიაშია გამოჩენილი მთამსვლელის, მიხეილ ხერგიანის სახლმუზეუმი, რომელიც დიდი ინტერესით დავათვალიერეთ.

თამარ ლვინაძე



სამუდამოდ გამოიყოლეს თან ნორჩებმა სვანური სოფლის ხიბლი.

ჟაბეშში ყოფნისას ყოველდღე გვიტარებდნენ საუბრებს მთამსვლელობისა და ტურიზმის შესახებ. მრავალი რამ ჩვენთვის სრულიად ახალი აღმოჩნდა. გავეცანით სვანეთის გამოჩენილ მთამსვლელთა ცხოვრებასა და სპორტულ მიღწევებს, ყოველდღე ვუყურებდით თეთნულდსა და უშბას.

გავეცანით სვან კლდეზე მცოცავთა წარმატებებს. განსაკუთრებით გაგვახარა ჩვენი თანატოლის — კობა გურჩიანის წარმატებებმა როგორც საქართველოს, ასევე საკავშირო სარბიელზე.

ნიკა მაჭავარიანი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



# გოგონა და დელფინი

„მეტიჩარაო“ — კინოაფიშაზე რომ წაიკითხავთ, არ იფიქროთ, გოგონაზე იყოს ლაპარაკი — ეს მეტსახელი დელფინს ჰქვია, დიახ, დელფინს, ყველა თავის თანამოძმესავით გონიერს, კეთილსა და მგრძნობიარეს, რომელიც იმით გამოხატავს თავის პროტესტს ადამიანთა გულქვაობის მიმართ, რომ დელფინარიუმიდან იპარება და მშობლიურ სტიქიას უბრუნდება და სწორედ აქ, ზღვის სილაჟვარდეში, ეცნობა „მეტიჩარა“ რობინზონს, უმალ იგრძნობს ეს ორი არსება — დელფინი და ადამიანი — სულიერ ნათესაობას და მიენდობა ერთმანეთს. მამისეული



სული გამოჰყოლია პატარა ნინიკოსაც. ოღონდ დედის და მისი მეორე ქმრის გარემოს ზეგავლენით — ეს სული დანისლულა და დამახინჯების პირას მისულა. კეთილსა და ნათელს უკან დაუხევიათ ამ ციცქნა ადამიანში და რომ არა მამასთან შემთხვევითი შეხვედრა, ალბათ ისიც სულგამოფიტულ ადამიანად ჩამოყალიბდებოდა.

რობინზონი უბრალო ფოტოგრაფია. დადის ზღვისპირა ქალაქის პლაჟზე და სამახსოვრო სურათებს უღებს დამსვენებლებს. აი, ეს რიგითობა ეცოტავა. ეს ქალაქი ეპატარავა მის ცოლს. თვითონაც და



მისი მეორე ქმარიც მეცნიერ-მუშაკები არიან, დედაქალაქში, დიდ, მორთულ-მოკაზმულ, კომფორტულ ბინაში ცხოვრობენ, გაკრიალებული მანქანით დასრიალებენ, ნაირ-ნაირ სიმპოზიუმებზე მიდი-მოდიან, უცხოეთში მოგზაურობენ. პირველ რიგში მხოლოდ თავიანთ თავზე ზრუნავენ და დარწმუნებულნი არიან, რომ რობინზონისნაირებზე მაღლა დგანან. მაგრამ არა, არამც და არამც არ დგანან ისინი სათნო სულის, კეთილ, უშუალო ადამიანებზე მაღლა — ამას მათ თვით ნინიკო აგრძნობინებს... თუმცა ჯობს ფილმის





სიუჟეტს გავყვეთ: ნინოს დედას ყოფილი მეზობელი შემოხვდება ქუჩაში და აგრძნობინებს, რომ რობინზონი ძალიან განიცდის შვილის სიშორეს. ეტყობა, დედას გულის სიღრმეში მაინც აწუხებს თავისი დანაშაულის გრძნობა, მეორე ქმრისთვის სრულიად მოულოდნელად მორიგ სიმპოზიუმზე წასვლას დაიჟინებს და, რაც მთავარია, ნინიკოს მამასთან გაგზავნას გადაწყვეტს. ასე ჩაუყვანენ გოგონას მამას, რომელიც მას სრულებით არ ახსოვს. უცხოდ გრძნობს ნინიკო თავს მამისეულ სახლში. ეუცნაურება მისი სამყარო, მისი ბუნება, ცხვირს უბზუებს მას და დაუფარავად აგრძნობინებს, რომ მამად არ მიიჩნევს. და აი, შემთხვევით გოგონა აღმოაჩენს, რომ მამამისმა თოლიების ენაც იცის, ზღვის სუნთქვაც ესმის და, რაც მთავარია, დელფინთან მეგობრობს. სწორედ მაშინ დაიწყო ლღობა უცხოობის ყინულმა. ნინიკომ მთელი არსებით შეიცნო მამის ბუნება. დელფინმა უყოყმანოდ მიიღო თავისი მეგობრის ქალიშვილი და სულ მალე ისიც მეგობრად გაიხადა, მიენდო მას. მაგრამ... ნინიკომ თავისი გულუბრყვილობით დაიჯერა, რომ „მეტიჩარას" დელფინარიუმში უკეთესი ცხოვრება ელოდა და უნებურად უღალატა მეგობარს — ნაპირთან მოცურებულ დელფინს ბადე გადააფარა და რომ არა რობინზონი, ქვებზე გარჩენილი „მეტიჩარა" დაიღუპებოდა. გადარჩენით კი გადარჩა დელფინი, მაგრამ ღალატით შეურაცხყოფილი სამუდამოდ გადაიკარგა. ნინიკო სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. დანაშაულის გრძნობა არ ასვენებს. შეწუხებულია რობინზონიც. და აი, იგი შეიტყობს, რომ მეზობელ ქალაქში ვიღაც გაქნილ ადამიანებს დელფინი დაუჭერიათ. ატრაქციონში გამოჰყავთ და რა თქმა უნდა, დიდძალ ფულსაც შოულობენ. რობინზონს გული უთქვამს, რომ ეს „მეტიჩარაა", და მის გასათავისუფლებლად მიეშურება, კიდეც ათავისუფლებს მას. რაღა თქმა უნდა, ფულის მკეთებელნი ვერ აპატიებენ ამას. უმოწყალოდ სცემენ და ზღვის ნაპირზე მიატოვებენ. სასოწარკვეთილი დელფინი მეგობრის საშველად მოაწყდება ნაპირს და... იღუპება. ამ დროს კი იქ, შორს, ქალაქში ნინიკო ბორგავს ძილში, და ტირის, „მეტიჩარას" ეძახის, პატიებას სთხოვს მასაც და მამასაც, ზღვისკენ მიიწევს, ზღვისკენ და მამისკენ...

ახალი ქართული ფილმი „მეტიჩარა" ნელი ნენოვამ და გენო წულაიამ გადაიღეს ბავშვებისთვის. ნინიკოს როლს თბილისის ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე ნინო სურგულაძე ასრულებს, მამისას — საერო თეატრის მსახიობი თემურ ნაცვლიშვილი, მეტიჩარას — ბათუმის დელფინარიუმის რამდენიმე დელფინი. ფილმში მათ გარდა მონაწილეობენ ნატო წულაია, თამარ სხირტლაძე, შოთა ქრისტესაშვილი, გიზო სიხარულიძე და სხვები.



იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოზარდების სულსა და ზნეობაზე ზრუნვით შექმნილი ეს ახალი ქართული მხატვრული ფილმი მოეწონება ჩვენს ნორჩ მაყურებელს. „მეტიჩარა" უთუოდ დააფიქრებს ყმაწვილებს, დაეხმარება მათ, ჩასწვდნენ სიკეთის არსს, განასხვაონ ჭეშმარიტი და ყალბი ფასეულობები, გადახედონ საკუთარ შეხედულებებს ცხოვრებაზე, ადამიანებთან და ბუნებასთან ურთიერთობებზე.



მ. კარგარეთელი




აიზეკ
აზიმოვი

მხატვარი
იოსებ
სამსონაძე

ფანტასტიკური
მოთხრობა

1

ჩარლზ მოდაინი კოსმოსში არასოდეს ყოფილა, თუმცა უკვე თითქმის ორმოცისა იყო და არც ჯანმრთელობას უჩიოდა. კოსმოსურ დასახლებას იგი ტელეპროგრამებითა და პერიოდული გამოცემებით იცნობდა, ეს იყო და ეს.

გულახდილად რომ ითქვას, არც აინტერესებდა კოსმოსი — დედამიწაზე დაიბადა და მისი სივრცეები სავსებით აკმაყოფილებდა. თუ გარემოს შეცვლა მოუნდებოდა, ზღვას მიაშურებდა: მოდაინი საიალქნო სპორტზე იყო შეყვარებული.

ამიტომ აშკარა უკმაყოფილებით შეხვდა იმ ამბავს, რომ „სფეის სთარაქჩურეს ლიმიტედ" კორპორაციის მიერ წამოწყებული სამუშაოს შესასრულებლად სწორედ მას მოუწევდა კოსმოსში გამგზავრება.

— თქვენ ხომ იცით, — უთხრა მოდაინმა კორპორაციის წარმომადგენელს, — რომ კოსმონავტი არა ვარ. მე ტანსაცმლის მოდელებს ვქმნი და რაკეტების, აჩქარებების, გადატვირთვების, ტრაექტორიებისა და ყველა სხვა ამისთანისა არაფერი გამეგება!

— ჩვენთვის ეს ცნობილია, — მიუგო ნაომი ბარანოვამ, რომლის მოუქნელი მიხრა-მოხრა ცხადყოფდა, რომ კოსმოსში ხანგრძლივად იმყოფებოდა და მუდმივ გრავიტაციას გადაჩვეული იყო. — სპეციალური ცოდნა თქვენ არც დაგჭირდებათ.

„ამ ქალის ტანსაცმელი, — გაიფიქრა გაღიზიანებულმა მოდაინმა, — მხოლოდ და მხოლოდ საიმისოდ ვარგა, რომ სხეულის სიშიშვლე დაფაროს. ამ მიზნით თავისუფლად შეეძლო ბრეზენტის ნაჭრის გამოყენებაც."

— თუ ასეა, რით უნდა გამოვადგე კოსმოსურ სადგურს?

— ჩვენ თქვენ გიწვევთ, როგორც მემოდელეს. საქმე ისაა, რომ ძალზე გვჭირდება ახალი მოდელი.

— ტანსაცმლისა?

— არა, ფრთების.

მოდაინი ჩაფიქრდა. მას მაღალი თეთრი შუბლი ჰქონდა, რომელიც ასეთ შემთხვევაში უწითლდებოდა ხოლმე. ახლაც ასე მოხდა, მემოდელე გაბრაზდა და შუბლი გაუწითლდა.

— ნუთუ არ შეიძლება, შეკვეთა შინ შევასრულო?

ბარანოვამ ჯიუტად გააქნია თავი.

— ჩვენ გვინდა თავად დარწმუნდეთ, თუ რა სიძნელეთა წინაშე ვდგავართ, მისტერ მოდაინ! უკვე მივმართეთ ინჟინრებსა და დამპროგრამებლებს, რომლებმაც, როგორც თვითონ ამტკიცებენ, ყველაზე საუკეთესო ფრთები დაგვიპროექტეს. მათ გაითვალისწინეს დაძაბულობაც, ზედაპირის ფართიც, მოქნილობაც, მანევრულობაც — ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც აუცილებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ვერაფრით დაგვეხმარნენ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თუნდაც ფურჩალიანი ფრთა...

— ფურჩალიანი, მის ბარანოვა?!

— თუნდაც... საჭიროა რაღაც ისეთი, რაც არაფრით ჰგავს ჩვეულებრივ საინჟინრო გადაწყვეტას. რაღაც სავსებით უჩვეულო რამ გვინდა. სხვაგვარად კოსმოსური დასახლებანი ვერ იარსებებენ. ამიტომაც გთხოვთ, რომ გაფრინდეთ და სიტუაცია თავად შეაფასოთ. გვერწმუნეთ, რომ კარგ გასამრჯელოსაც მიიღებთ.

მოდაინი გატყდა. შემოთავაზებულმა გასამრჯელომ და სოლიდურმა ბემ, რომელიც საბოლოო შედეგის მიუხედავად უნდა მიეღო, ყველაფერი გადაწყვიტა. მოდაინი ხარბი არ იყო, მაგრამ არც ფული ეჯავრებოდა. გარდა ამისა, ისიც ესიამოვნა, რომ მის ოსტატობას ეგზომ დიდად აფასებდნენ.

2

მოგზაურობა არც ისე ძნელი გამოდგა, თვითონ რომ ელოდა. პირველ კოსმოსურ ფრენათა დროს ხანმოკლე გადატვირთვებს ვიწრო კაბინაში ხანგრძლივი ყოფნა ცვლიდა ხოლმე. ის ადამიანები, რომლებიც მთელ სიცოცხლეს დედამიწაზე ატარებდნენ, ფიქრობდნენ, რომ მას შემდეგ არაფერი შეცვლილა. მაგრამ სინამდვილეში მთელმა საუკუნემ გაიარა და თანამედროვე კოსმოსური ხომალდების კაბინებში სივიწროვე აღარ იგრძნობოდა, ხოლო ჰიდრავლური სავარძელი მთლიანად აწონასწორებდა სასტარტო გადატვირთვას.

ფრენის პერიოდში მოდაინმა ყურადღებით შეისწავლა ფრთების ფოტოსურათები და კაც-ფრინველთა ვიდეოფირები.

— ჩემი აზრით, ლამაზია, — თქვა მან.

ნაომი ბარანოვას სევდიანად გაეღიმა.

— თქვენს წინაშე არიან ასები, სპორტსმენები, მისტერ მოდაინ! მაგრამ რომ გენახათ, როგორ დავფრინავ, ვთქვათ, მე, როგორ ვცდილობ მოხვევას ან რაიმე ფიგურის შესრულებას, სიცილით მოკვდებოდით. მე კი ბევრ სხვაზე უკეთ ვფლობ ფრთებს.

ისინი მეხუთე კოსმოსურ დასახლებას მიუახლოვდნენ. ოფიციალურად ამ დასახლებას ქრიზოლითი ერქვა.

— თქვენ, იქნებ, ფიქრობდით, რომ ყველაფერი სხვაგვარადაა, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ კოსმოსური დასახლებანი სავსებით მოკლებული არიან რომანტიკას. სწორედ ესაა უბედურება. ჯერჯერობით კოსმოსური დასახლება სახლი კი არა, მხოლოდ სამუშაო ადგილია. ამიტომაც გვიძნელდება დავარწმუ-

ნოთ ხალხი, ჩამოიყვანონ ოჯახები და მუდმივად დასახლდნენ აქ. თუ ისინი არ დარწმუნდებიან, რომ მათი „შინ“ აქ არის, მაშინ... — ბარანოვას ფრაზა არ დაუსრულებია, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო.

ილუმინატორიდან ქრიზოლითის პაწია დისკო ზუსტად ისეთივე ჩანდა, როგორიც დედამიწაზე ტელევიზორის ეკრანზე გამოჩნდებოდა. მოდაინი იმთავითვე მიხვდა, რომ სინამდვილეში მეხუთე დასახლება გაცილებით დიდი იყო, მაგრამ მისი თვალები ჯიუტობდნენ და არ სურდათ დაეჯერებინათ ქრიზოლითის ზომის სწრაფი ზრდა მასთან მოახლოების კვალობაზე. თითქოს თვით კოსმოსური ხომალდიც კი დაპატარავდა... და აი, მალე ისინი მინითა და ალუმინით ნაგები ვეებერთელა სფეროს თანამგზავრებად გადაიქცნენ.

მოდაინი ვერა და ვერ შორდებოდა ილუმინატორს, ისე იყო ამ სანახაობით დატყვევებული, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მიხვდა, რომ უკვე კარგა ხანია, მეხუთე დასახლების გარშემო ბრუნავენ.

— რა ხდება. დაშვებას არ ვაპირებთ?

— ეს არცთუ ისე მარტივი მანევრი გახლავთ, — მიუგო ბარანოვამ. — ქრიზოლითი ერთ სრულ ბრუნს თავისი ღერძის გარშემო დაახლოებით ორ წუთს ანდომებს, რაც საკმარისია საიმისოდ, რომ ცენტრისკენულმა ძალამ ყველაფერი, რაც ნაგებობის შიგნითაა, კედლებს მიაკრას, სხვანაირად — წარმოქმნას ხელოვნური სიმძიმის ძალა. დაჯდომამდე სიჩქარეები უნდა გავათანაბროთ. ამას კი დრო სჭირდება.

— ნუთუ აუცილებელია, ქრიზოლითმა ასე სწრაფად იბრუნოს?

— დიახ, თუკი ნორმალური სიმძიმის ძალის მიღება გვსურს. მთელი პრობლემაც ესაა. კარგი იქნებოდა, მოგვეხერხებინა ბრუნვის შენელება და, შესაბამისად, სიმძიმის ძალის შემცირება დედამიწაზე არსებული სიმძიმის ძალის ერთ მეათედამდე, ის კი არა, უფრო მეტადაც, მაგრამ ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური თავისებურებები ამის საშუალებას არ გვაძლევენ. ადამიანებს არ შეუძლიათ ხანგრძლივი ცხოვრება დაბალი გრავიტაციის პირობებში.

კოსმოსური ხომალდისა და ქრიზოლითის სიჩქარეები გათანაბრდა. მოდაინმა ცხადად დაინახა მზისკენ ორიენტირებული რთული ფორმის გარეთა სარკე, რომელიც მეხუთე დასახლების შიგა სივრცის განათებას ემსახურებოდა. შენიშნა მზის ელექტროსადგურიც, რომლის ენერგიაც არა მარტო ქრიზოლითის საჭიროებებს ხმარდებოდა, არამედ, ნაწილობრივ, დედამიწასაც გადაეცემოდა.

ბოლოსდაბოლოს, ხომალდი სფეროს ერთ-ერთ პოლუსზე დაეშვა და ჩარლზ მოდაინი გაურკვეველი ხნით ქრიზოლითის სტუმრად გადაიქცა.

დღემ სწრაფად გაირბინა. მოდაინი დაიღალა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კმაყოფილი იყო — აქაურობა ძალიან მოეწონა. ნაომი და ჩარლზი მოლზე ისხდნენ. მათ ზემოთ ღრუბლები მიცურავდნენ, დასახლება მზის ნათელით იყო გაჩახჩახებული, თუმცა თვით მზე არსად ჩანდა; სიო ქროდა, შორიახლო ნაკადული ლიკლიკებდა. მოდაინს უჭირდა თავი დაერწმუნებინა, რომ იგი ამჟამად იმყოფებოდა სფეროში, რომელიც კოსმოსში, მთვარის ორბიტაზე ლივლივებდა და დედამიწის გარშემოვლას მთელ თვეს ანდომებდა.

— ეს მთელი სამყაროა, — თქვა მან.

— ასე იმიტომ გგონიათ, რომ ახალბედა ხართ, — გაუღიმა ბარანოვამ. — გაივლის დრო და ყოველი კუთხე-კუნჭული თქვენთვის ნაცნობი გახდება. ყველაფერი მეორდება.

— როცა დედამიწის ამა თუ იმ ქალაქში დიდხანს ცხოვრობ, იქაც ყველაფერი მეორდება ხოლმე.

— ცხადია, მაგრამ დედამიწაზე შეგიძლია იმოგზაურო. იმანაც კი, ვინც მთელ ცხოვრებას ერთ ქალაქში ატარებს, იცის, რომ შეუძლია ადგეს და ერთ მშვენიერ დღეს სხვა ქალაქში გადასახლდეს. ჩვენთან კი ასეთი რამ შეუძლებელია. ეს... ეს ცუდია...

— სამაგიეროდ, თქვენ არ გაგაჩნიათ დედამიწის დამახასიათებელი ბევრი ნაკლოვანება, — შეეპასუხა მოდაინი, — მაგალითად, ამინდის ცვალებადობანი.

— ამინდი ჩვენთან, მისტერ მოდაინ, მართლაც სამოთხისას ჰგავს, მაგრამ ადამიანს თანდათანობით ესეც ბეზრდება. ნება მიბოძეთ, ერთი რამ გაჩვენოთ. აი, მე ბურთი მაქვს, შეგიძლიათ, იგი ზევით, პირდაპირ თქვენს ზემოთ აისროლოთ და დაიჭიროთ?

მოდაინს გაეღიმა.

— სერიოზულად მეუბნებით?

— რა თქმა უნდა. აბა, სინჯეთ.

— სპორტსმენი არა ვარ, მაგრამ, მგონი, ბურთის ზემოთ აგდებას მოვახერხებ. დავიჭერ კიდეც, როცა დაეშვება.

მოდაინმა ბურთი ააგდო, მაგრამ იგი პირდაპირ კი არ ავარდა, პარაბოლა მოხაზა. მოდაინი ნაბიჯით მიჰყვა ბურთს, მერე სირბილით გაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია.

— თქვენ ბურთი ზევით არ აგიგდიათ, მისტერ მოდაინ, — შენიშნა ბარანოვამ.

— არა, ზევით ავაგდე! — გაჯიუტდა მოდაინი.

— ჰო, თუკი დედამიწისეული საზომებით მივუდგებით, — გაიღიმა ბარანოვამ. — საქმე ისაა, რომ ჩვენთან დიდია კორიოლისის ძალის გავ-



ლენა. ქრიზოლითის შიგა ზედაპირი ძალზე სწრაფად მოძრაობს წრეხაზზე. რომლის ცენტრიც დასახლების ღერძია. როცა თქვენ ბურთი ზევით aაგდეთ, ამით იგი, სინამდვილეში, მიუახლოვეთ ღერძს, ესე იგი, ბურთი აღმოჩნდა უფრო მცირე დიამეტრზე, სადაც ბრუნვის სიჩქარე ნაკლებია. მაგრამ ის ინარჩუნებს იმ სიჩქარეს, რომელიც ქრიზოლითის შიგა ზედაპირზე ჰქონდა, და ამიტომაც გაფრინდა წინ. თუ თქვენ გსურთ, დაიჭიროთ ბურთი, ერთდროულად ზევით და ზურგსუკან უნდა ისროლოთ, მაშინ იგი მარყუჟს შემოხაზავს და უკანვე დაბრუნდება. გასროლილი სხეულის ტრაექტორია ქრიზოლითსა და დედამიწაზე სხვადასხვაგვარია.

— მაგრამ კაცი ამასაც ეჩვევა, ხომ? — იკითხა შეფიქრიანებულმა მოდაინმა.

— მთლად — ვერა. მე და თქვენ ახლა ჩვენი პატარა სფეროს ეკვატორულ სარტყელში ვართ. აქ ბრუნვის სიჩქარე მაქსიმალურია და სიმძიმის ძალა პრაქტიკულად დედამიწისას უტოლდება. ეკვატორიდან დაშორების კვალობაზე გრავიტაციული ეფექტი მკვეთრად მცირდება. ჩვენ ხშირად გვიხდება პოლუსებზე გამგზავრება და ამ დროს არ შეიძლება, არ გავითვალისწინოთ კორიოლისის ძალის მოქმედება. პოლუსებამდე სპირალური მონორელსური გზები გვაქვს გაყვანილი. როცა მონორელსური ვაგონით მგზავრობ, ყოველთვის გრძნობ, რომ რაღაც ძალა ცალ მხარეს გეწევა. საკმაო დროა საჭირო, ამას რომ შეეჩვიო, ზოგი კი საერთოდ ვერ ახერხებს შეგუებას. სწორედ ამიტომ არავის არ სურს აქ ცხოვრება.

— ნუთუ ვერაფერს უზამთ ამ ძალას?

— ბრუნვას თუ შეანელებ, კორიოლისის ძალაც შემცირდება, მაგრამ შესაბამისად მოიკლებს სიმძიმის ძალაც, ეს კი დაუშვებელია.

— ისე გამოდის, რომ არ შეგიძლიათ იარსებოთ არც კორიოლისის ძალასთან ერთად და არც უიმისოდ.

— აქ ერთი არსებითი დეტალიცაა. სიმძიმის ძალის შემცირება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ყოველი ჩვენგანი სისტემატურად, ყოველდღიურად ივარჯიშებს ფიზიკურად, თანაც კარგა დიდი ხანგრძლივობით. ასეთი ვარჯიში კი დამღლელი არ უნდა იყოს, იგი უფრო გართობას უნდა ჰგავდეს. თავდაპირველად ვფიქრობდით, რომ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო ვარიანტი ხელოვნური ფრთებით ფრენა იქნებოდა. პოლუსის ახლო სივრცეში სიმძიმის ძალა ფრიად მცირეა და ადამიანი თითქმის არაფერს იწონის. საკმარისია ხელები დაიქნიო, და მიწას მოსწყდები. ხოლო თუ ფრთებს მიიმაგრებ და საჭირო რიტმით ამოძრავებ, შეგიძლია ჩიტივით იფრინო.

— და ასეთ გაფრენას საკმარისი ფიზიკური დატვირთვა ახლავს?

— რა თქმა უნდა! მერწმუნეთ, რომ ჰაერში ფრენა მძიმე შრომაა. როცა ლივლივებთ, ხელებისა და მხრების კუნთები, შეიძლება, არც იყოს დატვირთული, მაგრამ ნებისმიერი მანევრირებისას ისინი მყისვე მუშაობას იწყებენ. რეგულარული გაფრენები ხელს უწყობენ კუნთების ტონუსისა და ძვლებში კალციუმის შედგენილობის შენარჩუნებას. მაგრამ რეგულარულ ფრენას, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ.

— მე კი მეგონა, ადამიანებს ფრენა მოსწონთ-მეთქი...

ბარანოვას ჩაეცინა.

— იფრენდნენ კიდეც, ადვილი რომ იყოს. უბედურება ისაა, რომ ფრენას უზუსტესი კოორდინაცია სჭირდება. სულ მცირეოდენი შეცდომაც კი ფრენის სიმაღლის მკვეთრ ცვლილებას იწვევს, რასაც აუცილებლად მოჰყვება გულისრევა. ზოგი ახერხებს იფრინოს ისევე გრაციოზულად, როგორც ვიდეოფირზე იხილეთ, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზე მცირეა.

— ფრინველები ხომ არ განიცდიან ზღვის ავადმყოფობას..

— ისინი დედამიწის სიმძიმის ძალის არეში დაფრინავენ, ქრიზოლითელები კი სულ სხვა გარემოში ცხოვრობენ.

მოდაინმა შუბლი შეიჭმუხნა და ჩაფიქრდა.

— ვერ დაგაიმედებთ, რომ ამაღამ კარგად გამოიძინებთ, — უთხრა ბარანოვამ. — ჩვენი ახალზედა სტუმრები რამდენიმე ღამის განმავლობაში დაძინებას ვერ ახერხებენ, მაგრამ თქვენ მაინც შეეცადეთ.

### 3.

ახლა კი მიხვდა მოდაინი, რას გულისხმობდა ბარანოვა კორიოლისის ძალის უსიამოვნო ზეგავლენაზე ლაპარაკისას: პოლუსისკენ მიმქროლავ პატარა მონორელსურ ვაგონს უჩინარი ძალა განუწყვეტლივ ეწეოდა მარჯვნივ. მოდაინი ისე ჩაეჭიდა წინა სავარძლის საზურგეს, რომ თითების სახსრები გაუთეთრდა.

— მაპატიეთ, — ბარანოვას ხმაში თანაგრძნობა ისმოდა. — უფრო ნელა რომ ვიაროთ, ვერაფერს იგრძნობდით, მაგრამ ჩვენ ისედაც ვაფერხებთ ტრანსპორტის ნაკადს.

— თქვენ უკვე შეეგუეთ ამას? — ამოიკვნესა მოდაინმა.

— ვერა. მთლად — ჯერ კიდევ ვერა.

მოდაინის სასიხარულოდ, ვაგონი, ბოლოს და ბოლოს, გაჩერდა, მაგრამ აქ ჩარლზს ახალი მოულოდნელობა ელოდა: უნდა შეგუებოდა იმას, რომ მისი წონა თითქმის ნულამდე დაეცა. სცადა თუ არა ნაბიჯის გადადგმა, მიწას მოსწყდა და მისი სხეული ხან წინ მიცურავდა ნელ-ნელა, ხან — უკან. ხელების ქნევამ კიდევ უფრო უხერხულ და სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო.

ბარანოვამ ცოტა დააცადა, მერე კი ხელში ხელი სტაცა და მიიზიდა.

— ზოგს ეს მოსწონს კიდეც, — თქვა მან.

— მე კი — არა, — ჩაიდუდუნა მოდაინმა.

— ისევე, როგორც უმრავლესობას. გეთაყვა, ფეხები ამ უზანგებში ჩაყავით და მკვეთრად ნუ იმოძრავებთ.

ცაში ხუთნი დაფრინავდნენ.

— ესენი, ხუთივენი, თითქმის ყოველდღე დაფრინავენ, — აუხსნა ბარანოვამ. — სხვები ჟამიდან ჟამზე სცდიან ხოლმე. ორივე პოლუსზე და სფეროს ღერძის გასწვრივ ერთდროულად ხუთი ათას კაცს შეუძლია ფრენა. მაშასადამე, იმდენი ადგილი გვაქვს, რომ ქრიზოლითის მთელ მოსახლეობას, ოცდაათ ათას კაცს, შეუძლია ყოველდღიურად ივარჯიშოს. როგორ მოვიქცეთ?

მოდაინმა ხელი ასწია და მაშინვე უკან გადაქანდა.

— ამ ხუთეულმა თვითონ ისწავლა ფრენა. ისინი ხომ ფრინველებად არ დაბადებულან! რატომ სხვებსაც არ შეუძლიათ ისწავლონ?

— ამათ თანდაყოლილი კოორდინაციის უნარი აქვთ.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? მე მემოდელე ვარ, ადამიანებისთვის ტანსაცმლის მოდელებს ვქმნი. ხომ არ შემიძლია, მათ თანდაყოლილი კოორდინაციის უნარი ვაჩუქო?

— ამ უნარის უქონლობა როდი ნიშნავს იმას, რომ ადამიანს არ შეუძლია იფრინოს. მას საამისოდ ბევრი შრომა და ძალზე ხანგრძლივი ვარჯიში სჭირდება. იქნებ შევძლოთ და ეს ვარჯიში უფრო... ასე ვთქვათ, მოდური გავხადოთ? იქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნებ შეგექმნათ ახალი კოსტიუმი კაც-ფრინველთათვის და შეგეთავაზებინათ სარეკლამო კომპანიისათვის, რომელიც ხალხს ცაში ფრენის სურვილს გაუჩენდა? თუ მივაღწევთ იმას, რომ ადამიანებმა რეგულარულად ივარჯიშონ, მაშინ საშუალება მოგვეცემოდა, შეგვენელებინა ქრიზოლითის ბრუნვის სიჩქარე, შეგვემცირებინა კორიოლისის ძალის გავლენა, გადაგვექცია მეხუთე დასახლება მშობლიურ „შინად“.

— თქვენ ჩემგან სასწაულს ითხოვთ. არ შეიძლება, ახლოს მოფრინდნენ?

ბარანოვამ ხელი დაუქნია და ერთი ფრინველი, რომელმაც ეს ჟესტი შენიშნა, ლივლივით მოუახლოვდა მათ. მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი სამიოდე მეტრის სიმაღლეზე გაჩერდა და მიწაზე მდგომთ ღიმილით გადმოხედა. მისი ფრთის ბოლოები ოდნავშესამჩნევად თრთოდა.

— გამარჯობათ, — თქვა მან წკრიალა ხმით. — მოხდა რამე?

— არაფერი, — მიუგო ბარანოვამ. — ჩემს მეგობარს სურს იხილოს, რანაირად ხმარობთ ფრთებს. ერთი აჩვენეთ, როგორ მუშაობენ ისინი.

ქალმა ისევ გაიღიმა, ჯერ ერთი ფრთა მოხარა, მერე — მეორე და მოხდენილად გადატრიალდა. შემდეგ ადგილზე შეჩერდა, ფრთები უკან გაიქნია, ოდნავ აამოძრავა და ზევით ასრიალდა. ფეხები თავისუფლად ეკიდა. მაგრამ აი, ფრთები უფრო სწრაფად ამოძრავდა და მომხიბვლელი არსება ისარივით აიჭრა ცაში.

— ბალეტი გეგონება, — თქვა მოდაინმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ. — ეგ არის მხოლოდ, რომ ფრთები მახინჯია.

— ამას სერიოზულად ამბობთ?

— აბსოლუტურად. ისინი ღამურას ფრთებს ჰგავს. სიმახინჯეა.

— მაშ, რა ვქნათ? იქნებ ბუმბული დავაკრათ? ვითომ ეს უფრო მოხიბლავს ადამიანებს?

მოდაინი ჩაფიქრდა.

— არა, — მიუგო ბოლოს. — იქნებ მოვახერხოთ და თვით ფრენის პროცესი გავაიოლოთ.

მან უზანგებისაგან ფეხები გაითავისუფლა და ახტა. ხან აქეთ იქნია ხელ-ფეხი, ხან იქით, მაგრამ მხოლოდ აქეთ-იქით ქანაობდა, მეტს ვერაფერს გახდა. ბარანოვას დახმარებით მიწაზე დაეშვა და ფეხები უზანგებში წაჰყო.

— აი, რას გეტყვით, — უთხრა ნაომის, როცა სული მოითქვა. — მე დავხაზავ საფრენ კოსტიუმს, და თუ ვინმე დაამზადებს მას ჩემი ესკიზების მიხედვით, ვეცდები ვიფრინო. თვითონ არასოდეს მიფრენია, თავადვე დარწმუნდით, რომ სხვის დაუხმარებლად მიწაზე დაშვებაც არ შემიძლია. და თუკი ჩემი კოსტიუმით ფრენას შევძლებ, მაშასადამე, ყველა მოახერხებს ამის გაკეთებას.

— ძალიან მინდა ვირწმუნო, რომ თქვენი ჩანაფიქრი გაამართლებს!

4.

ერთი კვირის შემდეგ მოდაინი ისევე გრძნობდა თავს ქრიზოლითზე, როგორც საკუთარ სახლში. ეკვატორულ ზონაში, სადაც ნორმალური სიმძიმის ძალა იყო და მაინცდამაინც არც კორიოლისის ძალის გავლენა შეიმჩნეოდა, გარემო პირობები დედამიწისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა.

— სასურველია, რომ ჩემს პირველ გაფრენას რაც შეიძლება ნაკლები ხალხი ესწრებოდეს, — უთხრა მოდაინმა ნაომის. — ვაითუ ისე არ გამომივიდეს, როგორც მე ვფიქრობ, და ეს კიდევ უფრო დააფრთხობს მოსახლეობას. უმჯობესია, რამდენიმე თანამდებობის პირი მო-

ვიწვიოთ — იმ შემთხვევისათვის, თუ რამე გამოვა.

— ჩემი აზრით, აჯობებს, თუ პირველი გაფრენა საერთოდ მოწმეების გარეშე ჩატარდება, — შეედავა ნაომი. — მარცხი, რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული, მაინც მარცხია...

— მაგრამ თუ წარმატებას მივაღწიე, ეს ძალზე შთამბეჭდავი სანახაობა იქნება!

— ჰო. მაგრამ წარმატების რა შანსი გაქვთ? ოღონდ — გულახდილად!

— შანსი საკმაოდ დიდია, მის ბარანოვა. მერწმუნეთ. ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებდით, თავიდან ბოლომდე მცდარი იყო. ჰაერში ჩიტებივით დაფრინავდით, რაც ძალზე ძნელია — თქვენივე სიტყვებით ვლაპარაკობ. ფრინველები დედამიწაზე ნორმალური სიმძიმის ძალის პირობებში დაფრინავენ. აქ კი უწონადობაა... ამიტომ ყველაფერი სხვაგვარად უნდა გაკეთდეს...

იდეალური ატმოსფერული პირობები იყო: ჰაერის ტემპერატურა, როგორც ყოველთვის, ოპტიმალური, ასევე—ტენიანობა და ქარის სიჩქარეც. მიუხედავად ამისა, მოდაინი ღელავდა და არამცთუ შუბლი გაუწითლდა, გაოფლიანდა კიდეც. ამის გარდა, ჰაერიც არ ყოფნიდა — ატმოსფერო ხომ პოლუსებზე, ეკვატორულ ზონასთან შედარებით, გაიშვიათებული იყო და ფილტვები აშკარად გრძნობდნენ მაცოცხლებელი ჟანგბადის ნაკლებობას.

ცაში არავინ დაფრინავდა. მთელი აუდიტორია ათიოდე მამაკაცისა და დედაკაცისაგან შედგებოდა. აქ იყო მეხუთე დასახლების კოორდინატორი, რამდენიმე თანამდებობის პირი, ნაცნობთაგან — მხოლოდ ნაომი ბარანოვა.

მოდაინს მომცრო მიკროფონი ეჭირა ხელში. ხმა შესამჩნევად უთრთოდა.

— ჩვენ ვცდილობთ, ისევე ვიფრინოთ უწონადობის პირობებში, როგორც ჩიტები — დედამიწაზე. მაგრამ არც ფრინველებისა და არც ღამურას ფრთების მოდელი არაფრად გვარგია — ისინი ხომ ნორმალური სიმძიმის პირობებში დაფრინავენ. სულ სხვაა ზღვა. წყალში გრავიტაციის მოქმედება ფაქტობრივად არ იგრძნობა, რადგან იგი ამომგდები ძალით წონასწორდება. წყლის სივრცეში ფრენას ჩვენ ცურვას ვეწოდებთ. მეხუთე დასახლებაზე, სადაც სიმძიმის ძალა ნულს უახლოვდება, ჰაერი საცურაოდ უფრო გამოდგება, ვიდრე საფრენად. ჩვენ არწივის კი არა, დელფინის მოძრაობას უნდა მივბაძოთ.

თქვა თუ არა ეს, მოდაინი მიწას მოსწყდა. მას მოხდენილი, ერთი ნაჭრისაგან შეკერილი კოსტიუმი ეცვა, რომელიც არც ტანზე შემოტმასნოდა და არც ტომარასავით ეკიდა. იგი მაშინვე გვერდზე გადაიხარა. მაგრამ ხელით შეკუმშულგაზიანი პატარა ავზის ონკანს მისწვდა და ოდნავ გახსნა. ხერხემლის გასწვრივ ფარფლი ამოიბერა, მუცელზე მომცრო, გასაბერი კილი ამოიზარდა.

სხეული გაწონასწორდა.

— უწონადობის პირობებში ეს საკმარისია საიმისოდ, რომ სხეულის მდგომარეობა სტაბილური გახდეს. თქვენ შეგიძლიათ დაიხაროთ ან შემობრუნდეთ ისე, რომ ორიენტაცია არ დაკარგოთ.

მოდაინმა მეორე ხელი გასწია და მის ფეხებზე, მუხლებს ქვემოთ, ორი ლასტი გაიბერა.

— ესეც თქვენი ძრავა! ხელების ქნევა საჭირო არ არის. ფარფლების ნარნარი მოძრაობით ნებისმიერი სიჩქარის მიღწევა შეიძლება, მიმოხვევისა და დაყვინთვისათვის საკმარისია შეცვალოთ ხელებისა და ფეხების მდგომარეობა. არსებითად, მოძრაობაში მთელი სხეული მონაწილეობს, დატვირთვა ნარნარად, უნახტომებოდ იცვლება. ეს უკეთესიცაა — ფრენისას ყოველი კუნთი მუშაობს და თქვენ შეგიძლიათ იფრინოთ რამდენიმე საათის განმავლობაში, თანაც ისე, რომ ვერც იგრძნოთ დაღლილობა.



იგი უკვე თავდაჯერებულად, გრაციოზულად მოძრაობდა. ფრენის სიჩქარე თანდათან მატულობდა. მოდაინი ზევით და ზევით მიიწევდა, ჰაერი სტვენით უვლიდა გარშემო მის სხეულს და ჩარლზს წამით პანიკა დაეუფლა. უცებ შეშინდა, დაშვებას ველარ მოვახერხებო. მაგრამ ინსტინქტურად მუხლები მოხარა, მუცელთან მიიტანა და იგრძნო, როგორ იკლო სიჩქარემ.

შორიდან ტაშის ხმა მოესმა. მოდაინი მოხდენილად შემოტრიალდა და მაყურებელთან დაეშვა.

— მისტერ მოდაინ, როგორ შესძელით დაგენახათ ის, რის დანახვაც ჩვენმა ინჟინრებმა ვერ მოახერხეს? — ჰკითხა აღფრთოვანებულმა ბარანოვამ.

ჩარლზმა კმაყოფილებით ჩაიცინა:

— თქვენმა ინჟინრებმა აქსიომად და სამუშაო მოდელად თვითმფრინავები და ფრინველები მიიღეს, — თქვა მან. — სწორედ ეს არის ინჟინრის საქმე. მემოდელე კი სხვაგვარად აზროვნებს. იგი ცდილობს, მთელი პრობლემა მთლიანობაში გაიაზროს. მე მაშინვე შევნიშნე, რომ კოსმოსური დასახლების პირობებში ფრთები გამოუსადეგარია. ასე რომ, თქვენ სავსებით სწორი აღმოჩნდით, როცა დახმარებისთვის სწორედ მე მომმართეთ, მის ბარანოვა.

— ჩვენ დაუყოვნებლივ დავიწყებთ დელფინის კოსტიუმების გამოშვებას და ქრიზოლითელები სიამოვნებით იფრენენ... თუ — იცურავებენ მეხუთე დასახლების ცაში. მე ეს მჯერა. მაშასადამე, საშუალება მოგვეცემა, შევამციროთ სფეროს ბრუნვის სიჩქარე.

— შეგიძლიათ, საერთოდ შეაჩეროთ მისი ბრუნვა, — შენიშნა მოდაინმა. — ვფიქრობ, მალე ყველა ქრიზოლითელი უარს იტყვის სიარულზე და ყოველი მათგანი ფრენას... თუ — ცურვას მოისურვებს, — ჩარლზს გაეცინა. — დიახ, მეხუთე დასახლების მცხოვრებთ სიარული აღარ დასჭირდებათ. მე, მაგალითად, მხოლოდ ვიცურავებდი...

როცა მოდაინს შეპირებული თანხის ჩეკი გადასცეს, მან გაიღიმა:

— ფრთები მხოლოდ ფრინველებს სჭირდებათ.

თარგმნა ნ. აფხაზავამ

## ფოთლის ჩივილი

მე ვარ ერთი პატარა, საწყალი ფოთოლი, ამ ხეზე დავიბადე. ეს ხე, მკვებავს, მზრდის. სხვა ფოთლებისგან შორს ვარ. მარტო ვარ. აბა რა მხიარულებაა ეს, როდესაც სხვა ფოთლები ბაასში არიან გართულნი, მე კი მარტოდმარტო ვატარებ წუთისოფელს, შევყურებ ფოთლებს, მინდა მათთან ვიყო, ვიმხიარულო, დრო გავატარო, მაგრამ ხე არ მიშვებს, თითქოს მეუბნება, სადაც დაიბადე, იქ უნდა იყოო.

ახლა გაზაფხულ-ზაფხულობით ჩემი ბედნიერება და სიხარული ისაა, რომ მწვანე ვარ. მოფრინდებიან ფრინველები, მიმღერებენ, გულს იჯერებენ და შემდეგ ისევ გაფრინდებიან, წავლენ.

შემოდგომობით უფრო მოვიწყენ ხოლმე.ხეზე ვკიდივარ გაყვითლებული. აღარა ვარ ლამაზი. ხანდახან ქარი დაუბერავს და ამაფრიალებს. ერთხელაც იქნება, მოვწყდები ტოტს და ტრიალ-ტრიალით წავალ დაბლა.

აი, ახლაც დაუბერა ქარმა. ამაფრიალა, მოვწყდი ჩემს დედას, ჩემს გამზრდელს და ვეშვები ძირს. მიწაზე დავეცი და კვნესა აღმომხდა. გამვლელ-გამომვლელი ფეხს გამკრავს. მე ტკივილით დავიჩურჩულებ: ოჰ, ჩემო დამბადებელო, ნეტა რად გამაჩინე?

ერთხელ ერთმა თეთრწინსაფრიანმა გოგონამ ხელში ამიყვანა და სკოლაში მიმიყვანა, დამსვა მერხზე. დაიწყო გაკვეთილიც. ბავშვები ყრიამულით შემოცვივდნენ. ხან ერთი მათვალიერებდა, ხან მეორე. შემდეგ მათმა მასწავლებელმა ამიყვანა ხელში, მიკროსკოპით დამათვალიერა, იმ გოგონას გაუღიმა და უთხრა: ძალიან ლამაზი ფოთოლი გიშოვნიაო. მე და გოგონას ძალიან გაგვიხარდა. მაგრამ დამთავრდა გაკვეთილი თუ არა, გოგონამ ამიყვანა ხელში და... ისევ ქუჩაში გადამაგდო...

**ეკა ბუქური,**
დუშეთი ქვეშეთის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## საქართველო

საქართველოს მთა და ველი
და ნამგალა მთვარე,
ბუმბერაზი ხეები,
დინჯად მოშრიალე.

ლამაზი ყვავილებით
მოფენილი კორდი
და გიჟმაჟი მდინარე,
ხმაურით რომ მოდის,

ია-ვარდით ნაქარგი
ტყეები და ველი,
ყველა მამულიშვილს რომ
სიხარულით ელის.

## მთიულეთი

მთები და ხეობები,
კანტიკუნტად — სახლები,
ცივ-ცივი ნაკადული,
მთიდან გადმონადენი.
მთის ფერდობზე მოთამაშე
ბატკნები და ბავშვები.
ხადა და გუდაური,
მაღალ მთებზე ნაშენი.

**ლელა კეძელაშვილი,**
სიღნაღი, ანაგის საშუალო
სკოლა, V კლასი

## ქარი

ქარია, ხეები ცეკვავენ,
ლამაზად არხევენ ტანს,
აშოლტილ ტოტებს გაშლიან,
მორცხვობით დახრიან თავს.
ფოთოლნი მუსიკას ერთვიან,
ცდილობენ, რომ აჰყვნენ რიტმს,
ისინიც ნაზად ჩურჩულებენ,
ეხმიანებიან — შრი...
გამვლელი კრთომით იყურება, —
ცოდოა, მოსტეხავს ხეს...




დაწყნარდით, თქვენ ნუ
გეშინიათ,
ხეები ცეკვავენ დღეს.

**დიანა ჩომახაშვილი,**
თბილისი, 1-ლი საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## შემოდგომა

გავიდა ცხელი ზაფხული, დადგა ბარაქიანი შემოდგომა. ფოთლებიდან წითლად იმზირებიან ვაშლები, აწითლებულან ბროწეულები. დიდი და პატარა სამუშაოზე არის გასული, რომ ზამთრისთვის საკვები მოიპოვოს. ახლა იმკის გლეხკაცი მთელი წლის ნაშრომსა და ნაოფლარს: იქით კაკალსა და ნუშს ბერტყავენ, აქეთ მსხალს, ბროწეულს, კომშსა და ვაშლს კრეფენ. თითქმის ყველგან რთველია გაჩაღებული. ოქროსფრად შეთვალული თითა ფოთლებში თავს იწონებს, რქაწითელი კი კეკლუცი პატარძალივით იმზირება ფოთლებიდან. უკვე ქვევრებს რეცხავენ და საწნახლებს ამზადებენ. სოფელში ხშირად ისმის „მრავალჟამიერი“, „შავლეგო“, ყველგან მხიარულებაა... ასე გრძელდება რამდენიმე ხანს, სანამ ცივი, ხანგრძლივი ზამთარი დადგებოდეს.

**ალექსანდრე ჩახნაშვილი,**
სიღნაღის საშუალო სკოლა,
VII კლასი.



თუთიყუში.

დათო ფხიკიძე, 6 წლის.

# ბიბლიური ისტორია

## სარას სიკვდილი და ცოლის შერთვა ისაკისა

**(დაბ. 23,1-20; 24,1-67; 25,1-10)**

უფალმა აბრამს და სარას დღეგრძელი ცხოვრება მიანიჭა, სარამ იცოცხლა ასოცდაშვიდი წელიწადი და მოკვდა ღრმა მოხუცებულობაში. აბრამმა რომ გამოიტირა თავისი ერთგული ცოლი, დაასაფლავა ერთ გამოქვაბულ კლდეში, მახლობლად იმ ადგილისა, სადაც იმან სტუმრად მიიღო უფალი სამი მოგზაური ანგელოზის სახითა. ეს გამოქვაბული გარეშემო ადგილებით ეკუთვნოდა ახლო ქალაქის, ქებრონის, ერთს მცხოვრებელსა. აბრამმა ეს ადგილი თავის სასაკუთროდ იყიდა პატრონისაგან და მონიშნა საოჯახო სასაფლაოდ.

სარას სიკვდილის შემდეგ აბრამმა დააჩქარა ისაკის ცოლის შერთვა, რადგანაც ქანაანელნი იყვნენ წარმართნი, ამიტომ მათგან ქალის თხოვნა არ ინდომა. მოუწოდა თავის ერთგულ მონას ელიეზერს და გაგზავნა იგი შუამდინარეთში, სადაც სცხოვრობდნენ შვილნი და შვილისშვილნი აბრამის ძმისა, და უბრძანა, რომ ამ გვარეულობაში ამოერჩია ისაკისათვის საცოლე. მონამ აასრულა თავისი ბატონის ბრძანება, შეკაზმა აქლემები და გაუდგა გზასა. კაი ხნის მოგზაურობის შემდეგ იგი მიუახლოვდა საღამო ჟამზედ ნაქორის ქალაქსა, სადაც სცხოვრობდა ნათესაობა აბრამისა. ქალაქის გარეთ ელიეზერმა ნახა ჭა, სადაც წყლისთვის საღამოზედ ქალაქის ქალები გამოდიოდნენ, ჩამოხტა ამ ჭასთან და თავის გულში ღმერთს შევედრა ამ ლოცვითა: უფალო, ღმერთო, გამოიხედე მოწყალე თვალით ჩემს ბატონზედ, მიჩვენე მე ის ქალი, რომელიც ისაკისათვის საცოლედ დაგინიშნია ამ სახითა: მე ვთხოვო მას, რომ წყალი დამალევინოს და მან ასე მიპასუხოს: შენც დალიე და შენს აქლემსაც ასვი. გაათავა თუ არა ეს ლოცვა, ჭას მიუახლოვდა ერთი ახალგაზრდა ქალი და წყლის ამოღება იწყო. ელიეზერი მივიდა მასთან და სთხოვა: შვილო, დამალევინე მე წყალი დოქით. ამაზედ ქალმა მიუგო: შენც მიირთვი, ბატონო ჩემო, და შენს აქლემსაც დავალევინებ. ელიეზერი განცვიფრებაში მოვიდა, რა სწრაფად აუსრულა უფალმა თხოვნა. მან ქალს საჩუქრად მისცა ოქროს საყურეები და ძვირფასი სამკაულები და ჰკითხა: ვისი ქალი ხარ? ქალმა უპასუხა: მე ვარ ასული ბათოელისა, ნაქორის შვილისა. ხოლო ნაქორი იყო აბრამის ძმა. ელიეზერმაც უთხრა ქალს თავისი ვინაობა. მხურვალე მადლობა შესწირა ღმერთს ელიეზერმა, რომ მან პირდაპირ მოიყვანა აბრამის ნათესავებთანა და ცხადად უჩვენა ისაკის საცოლე. რებეკა გაიქცა შინ გახარებული და დედას უთხრა, აბრამის მონა ვნახე და ეს საჩუქრები მომცაო. მაშინვე ელიეზერს გაეგება რებეკას მამა და მიიწვია სახლში. ელიეზერმა დაწვრილებით უამბო, თუ რისთვის არის გამოგზავნილი და როგორ უჩვენა უფალმა რებეკა, როგორც მისგან არჩეული საცოლე ისაკისათვის; ბოლოს ჰკითხა: თანახმანი ხართ, გამოუშვათ ჩემთან რებეკა, რათა გახდეს ცოლი ისაკისა? დედმამა მაშინვე დათანხმდა, თვითონ



რებეკამაც გამოაცხადა ამაზედ თავისი თანხმობა. ამის შემდეგ დედ-მამამ დალოცა. აკურთხა თავისი შვილი რებეკა და გაისტუმრა შორ გზაზე. როცა ქანაანის ქვეყანაში მივიდნენ, რებეკა გახდა ცოლი ისაკისა. ამის შემდეგ აბრამმა ცოტა ხანიღა იცოცხლა და გარდაიცვალა ასსამოცდათხუთმეტი წლისა. იგი დამარხა ისაკმა იმავე გამოქვაბულში, სადაც განისვენებდა სარას გვამი.

## ესავი და იაკობი

**(დაბ. 25, 20-34; 27,1-46; 28,1-5)**

ისაკი იყო ისეთივე კეთილმსახური კაცი, როგორც აბრამი, ღმერთს იგი თავის მფარველობის ქვეშა ჰყავდა და უმეორებდა იმ აღთქმებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მისცა აბრამსა, მაგრამ ისაკიც, თავის მამასავით, დიდხანს დარჩა უშვილოდ. ორმოცდა სამი წლისა იყო, როცა მან რებეკა შეირთო, და მამა მხოლოდ მაშინ შეიქმნა, როდესაც სამოცი წლისა გახდა. ამ დროს რებეკას მიეცა ტყუპი ვაჟი, რომელიც პირველად იშვა, იმას ესავი დაარქვეს, მეორედ ნაშობს კი უწოდეს იაკობი. ესავი როცა მოიზარდა, მონადირეობა აირჩია ხელობად, იაკობმა კი არ დააგდო კვალი მამა-პაპისა და გახდა მწყემსი. ესავი იყო გულსწრაფი, გულჩქარი და უზრუნველი თვისებისა, ხოლო იაკობსა ჰქონდა მშვიდი, ხათრიანი და უწყინარი ხასიათი. პირველი შვილი მამას მომეტებულად უყვარდა, რადგანაც ნადირის ხორცით ხშირად ასიამოვნებდა ხოლმე. მეორე კი — დედას უფრო უყვარდა.

ერთხელ ესავი, დიდი ხნის ნადირობის შემდეგ, მოვიდა შინ საშინლად დაღლილი და მშიერი. ამ დროს იაკობს წინ ედგა სავსე ჯამი ოსპის შეჭამანდისა. მოიტა, გამაძღე ერთი მაგ შენი შეჭამანდითა, უთხრა ესავმა იაკობს. შენი პირველობა ახლავე მე დამითმე და ბატონი ბრძანდები, უპასუხა იაკობმა. რა თავში ვიხლი პირველობას, როდესაც შიმშილითა ვკვდები, მოუფიქრებლად მიუგო ესავმა. ასე წინდაუხედავად დაუთმო ესავმა პირველობა თავის უმცროს ძმასა და შეჰფიცა კიდეცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე რიტმები




## „აირონ მეიდენ“

„რკინის ქალწული“ — ასე ითარგმნება ინგლისური ჰევი მეტალ-როკის ახალი მიმდინარეობის წარმომადგენელი ჯგუფის „აირონ მეიდენის“ სახელწოდება.

ჯგუფი 1977 წელს შეიქმნა ლონდონის ისტ-ენდის მკვიდრის ს. ჰარისის ხელმძღვანელობით. თავდაპირველად მასში შედიოდნენ პოლ დიანო (ვოკალი), სტივ ჰარისი (ბას-ვოკალი), დეივ მიურეი (გიტარა), დუგ სემფსონი (დასარტყამი ინსტრუმენტები). პირველ ხანებში ეს ახალგაზრდები 70-იანი წლების როკ-მუსიკის გრანდებს უფრო ბაძავდნენ, მერე და მერე კი საკუთარი მუსიკალური სტილისტიკა გამოიმუშავეს და თვითონვე იქცნენ მისაბაძ მაგალითად.

„აირონ მეიდენმა“ უარი თქვა საგასტროლო მოგზაურობებზე და მთავარი ყურადღება სტუდიურ მუშაობას დაუთმო. 1979 წელს გამოვიდა ჯგუფის მიერ საკუთარ სტუდიაში ჩაწერილი პირველი ფირფიტა, მალე ჯგუფი დატოვა სემფსონმა, სამაგიეროდ მოვიდნენ მედოლე კლივ ბერი და მეორე გიტარისტი დენის სტრეტონი, მოგვიანებით ეს უკანასკნელი ედრიან სმიტმა შეცვალა. „რკინის ქალწული“ ჯიუტად იკვალავდა გზას საყოველთაო აღიარებისაკენ. ჯერ იყო და, მისი კომპოზიცია „რანინ ფრი“ ინგლისის „ცხელ ოცდაათეულში“ შევიდა, მერე ჯგუფ „ჯუდას ფრისთთან“ ერთად ინგლისი მოიარა დიდი წარმატებით, ამას ჰით პარადებში დაკავებული მეოთხე ადგილი და დამოუკიდებელი გასტროლები მოჰყვა. და ბოლოს, 1981 წელს გამოსულმა ფირფიტამ „ქილრს“ ნანატრი წარმატება მოუტანა ჯგუფს. მთელი წელი იმოგზაურა „რკინის ქალწულმა“ გასტროლებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და ყველგან წარმატება მოიპოვა. სწორედ ამ პერიოდში მოინდომა დამოუკიდებლად მუშაობა პოლ დიანომ, მას ბრიუს დიკინსონი შეენაცვლა, რომელსაც უძლიერესი ხმის გამო „სირენა“ შეარქვეს. 1988 წელი საუკეთესო აღმოჩნდა „რკინის ქალწულის“ შემოქმედებით ბიოგრაფიაში — იგი საუკეთესო ჯგუფად აღიარეს.

---

რომ იგი მასში თავის დღეშიაც არ შეეცილება.

ესავს, როგორც დაუდეგარ კაცსა, მალე დაავიწყდა ეს შემთხვევა და მოინდომა საპირველო კურთხევა. მაგრამ ეს კურთხევა ერგო მასზედ უფრო ღირსეულს — იაკობსა. საქმე იაკობს გაურიგა რებეკამა, რომელსაც იგი თავიდანვე უყვარდა უფროს შვილზედ მომეტებულად. რებეკამ შეიტყო, რომ ისაკი აპირებდა ესავის დალოცვასა, ადგა და გაგზავნა იაკობი მამასთან კურთხევის მისაღებად, მაშინ, როდესაც ესავი სანადიროდ გაიგულა. ისაკი ამ დროს ძალიან მოხუცებული იყო და ვერაფერსა ხედავდა. როცა იაკობი შევიდა დალოცვის მისაღებად, ისაკს ეგონა, ესავიაო, აკურთხა იგი და დაულოცა უფროსობა ძმაზედ. ესავი მალე დაბრუნდა ნადირობიდან და რომ შეიტყო მამისაგან ძმის ოინი, საშინელი ყვირილი და ტირილი მორთო და დაუწყო ხვეწნა მამას, რომ მას თავისი ლოცვა-კურთხევა მისთვის მიეცა. მაგრამ ისაკმა დალოცვის შეცვლა აღარ ინდომა, რადგანაც იფიქრა: უთუოდ ღმერთს ნებავდა, რომ იაკობს მისცემოდა უფროსობაო. ამიტომ ესავი საშინლად გაცეცხლდა და იმუქრებოდა, მოკვდება თუ არა ისაკი, იაკობს ერთ დღესაც არ ვაცოცხლებო. რებეკამ გაიგონა ეს მუქარა, შეეშინდა საყვარელი ძის მოკვლის და უბრძანა იაკობსა, რომ იგი გაქცეულიყო მის ძმასთან, ლაბანთან, შუამდინარეთს და იქ ეცხოვრა ბიძასთან, სანამ ესავი გულს მოიბრუნებდა ძმაზე. იაკობი დათანხმდა. როცა მოხუცებული მამა კვდებოდა, უბრძანა იაკობს, რომ მას ცოლი შუამდინარეთიდან მოეყვანა და ბოლოს უთხრა: და მოგანიჭოს ყოვლადშემძლებელმა ღმერთმა შენ და შენთა შთამომავალთ ის ლოცვა-კურთხევა, რომელიც მისცა აბრამსა, მამასა ჩემსა. იაკობმა ახსენა ღმერთი და გაუდგა გზასა.



# ჩვენი სამზარეულო

აგერ, კარზე მოგვადგა ახალი წელიც. ყველა ოჯახი საახალწლო სუფრის თადარიგს იჭერს და, ბუნებრივია, რომ დედასა და ბებიას სადღესასწაულო სუფრის გაწყობაში შენც მიეხმარები. ისიც ბუნებრივია, რომ დიდი სურვილი გაქვს, სუფრას შენი ნახელავი ნუგბარი კერძი და ნამცხვარიც შემატო. ამჯერად გთავაზობ რამდენიმე რეცეპტს, რომლებიც ამ საქმეში უთუოდ გამოგადგება.

## გოზინაყი

ნიგვზის (სჯობს სალი და თეთრი) ლებნები დაჭერი ბასრი დანით, დაყარე ტაფაზე და ოდნავ მოხალე ისე, რომ არ შეწითლდეს. გააგრილე, დაყარე სინზე და დაბერტყე, თან სული შეუბერე, რომ კანი სულმთლად გაეცალოს.

250 გრამი თაფლი მოათავსე სქელძირიან ღრმა ტაფაზე და შედგი ცეცხლზე. დუღილის დროს თაფლი აქაფდება, ამიტომ რამდენიმე წუთით გადმოდგი, რომ არ გადმოვიდეს და შემდეგ ისევ შედგი ცეცხლზე. თაფლი დაცხრება და მშვიდ დუღილს დაიწყებს. რამდენიმე წვეთი ამოიღე და დააწვეთე ლამბაქზე. დააცადე, რომ შეგრილდეს. თუ გაცივებული წვეთი თითებს შორის ცომივით აგუნდავდა, ჩაყარე თაფლში დაჭრილი ნიგოზი და გამუდმებით ურიე ხის კოვზით. დაახლოებით ათი წუთის შემდეგ მოაყარე ერთი-ორი სუფრის კოვზი შაქრის პუდრა. ისევ კარგად აურიე და ტაფა ცეცხლიდან გადმოდგი. გოზინაყის მთელი მასა გადაიტანე წინასწარ კარგად გარეცხილ სველ ფიცარზე ან მომინანქრებულ სინზე, კოვზით ზედაპირი მოუსწორე და გააბრტყელე. გაციებული ნიგოზი რომ არ დაიმტვრეს, თბილი დანით დაჭერი ნაჭრებად, შეეცადე, ლამაზი ნაჭრები გამოგივიდეს.

## ტორტი „დათუნია“

4 კვერცხის გული და ერთი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი კარგად გათქვიფე მიქსერით, დაამატე 1 ჩაის ჭიქა მაწონი, 1 სუფრის კოვზ ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა, მარილი, 150 გრამი გამდნარი კარაქი. ცოტა ფქვილი, რომ მოიზილოს ნაზი და რბილი ცომი. გაყავი ეს ცომი სამ ნაწილად, თითოეული გაბრტყელებული ცომი თუნუქის ფურცელზე გამოაცხე.

მიქსერით ათქვიფე დარჩენილი კვერცხის ცილა, თანდათან დაამატე ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, წვრილად დაჭრილი და მოხარშული 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი და გააგრძელე თქვეფა. გაყავი ეს მასა ორ ნაწილად, წაუსვი გამომცხვარ ფირფიტას, დაafარე ზედ მეორე ფენა, კიდევ წაუსვი, დააფარე მესამე ფენა, ხოლო ზემოდან წაუსვი შოკოლადის მინანქარი.

შოკოლადის მინანქარი მზადდება შემდეგნაირად: 2 სუფრის კოვზ კაკაოს დააყარე ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, დაასხი 3 სუფრის კოვზი რძე ან წყალი, 50 გრამი კარაქი და შემოდგი ცეცხლზე. როცა წამოდუღებას დაიწყებს, გადმოდგი ცეცხლიდან და ცხელივე გადაუსვი ტორტს ზემოდან.

## სალათა „ტორტი“

ძალიან წვრილად დაჭრილ 300 გრამ კომბოსტოს მოაყარე ცოტა მარილი და დასრისე; გაწურე, წვენი გადაღვარე. კომბოსტო მოათავსე ლანგარზე.

„კრემისათვის“ დაგჭირდება 2 ჭიქა მაიონეზი და 1 ჭიქა არაჟანი. ისინი ერთმანეთში აურიე, დაამატე შავი პილპილი, უცხო სუნელი, ხმელი ქინძი და მარილი.

კომბოსტოს ზევიდან მსხვილი სახეხით დაახეხე მოხარშული კარტოფილი (500 გრამი), შემდეგ — მოხარშული ჭარხალი (800 გრამი) და ბოლოს — 300-400 გრამი უმი სტაფილო (ყველა ფენას მოაყარე ცოტა მარილი და წვრილად დაჭრილი კამა). ზემოდან წაუსვი „კრემის“ ნახევარი. შემდეგ ამავე თანამიმდევრობით დააწყვე მეორე წყება ბოსტნეული. დარჩენილი „კრემი“ მოასხი ჭარხალს, სტაფილოს ბოლო ფენა კი მორთე წვრილად დაჭრილი ხახვით, კამითა და რგოლებად დაჭრილი კვერცხით.

## კარტოფილის ალადები

ახალი კარტოფილი (დაახლოებით 20 ცალი) გაასუფთავე, კარგად გარეცხე და გახეხე, დაამატე ერთი ჩაის ჭიქა ფქვილი, 2 ცალი კარგად გათქვეფილი კვერცხი, მარილი — გემოვნებით.

ტაფაზე დაასხი მცენარეული ზეთი და, როგორც კი კარგად შეცხელდება, სუფრის კოვზით დაამატე კარტოფილიანი მასა, ალადები დაბრაწე ორივე მხარეს, კანის შეოქროსფერებამდე.

# გამოჩენილი ადამიანების ღიმილი

### მოთმინება

ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ვილი ბრედელმა შვებულებაში ყოფნის დროს შეამჩნია, რომ ვიღაც ჭაბუკი ყოველდღე საათობით უყურებდა მის თევზაობას.

ბოლოს მწერალმა ჰკითხა:

— რატომ თქვენ თვითონ არ თევზაობთ?

ჭაბუკმა ხელები გაასავსავა და მიუგო:

— რას ამბობთ, საამისოდ მოთმინება არ მყოფნის.

### გუნების მოვლენა

პეტრე ჩაიკოვსკი ოდესაში რომ ჩავიდა, თეატრში ზედიზედ იდგმებოდა მისი ოპერები. ერთხელ რეპეტიციაზე ოპერის მაესტრომ ემანუელმა უთხრა:

— იცით, პიოტრ ილიჩ, „ევგენი ონეგინისა“ და „პიკის ქალის“ ნიუანსები „მაზეპაშიც“ იგრძნობა...

— იცით, მაესტრო, — იმავ კილოზე მიუგო ჩაიკოვსკიმ, — „მაზეპაც“, „ევგენი ონეგენიცა“ და „პიკის ქალიც“ ჩემი ოპერებია.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



### რამდენი ადამიანი ცხოვრობდა ჩვენამდე?

ამჟამად დედამიწაზე 5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. რამდენი ცხოვრობდა ჩვენამდე? საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევის ინსტიტუტის აზრით, მას შემდეგ, რაც ადამის მოდგმა არსებობს, დედამიწაზე 80 მილიარდ ადამიანს უცხოვრია.

### გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

ჰონოლულუელმა ბრეტ მაქორნიმ სტუმრები პიკნიკზე მიიწვია. დაანთეს ცეცხლი. ის იყო, ბადეზე შესაწვავად ბურვაკი დადეს, რომ ამ დროს საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. თქეშმა კოცონი ჩააქრო. სტუმრები სახლში შეცვივდნენ. გაიელვა ერთხელ, მეორედ... შუა ეზოში გამაყრუებელი გრუხუნი გაისმა. წუთის შემდეგ ღრუბელი გაიფანტა. მასპინძელმა ჩამქრალ კოცონთან მიირბინა და შეცბა: ლორი ისე კარგად იყო შემწვარი, რომ საუკეთესო მზარეულიც ვერ შეწვავდა უკეთესად. ყველა სტუმარმა ერთხმად აღიარა, რომ ასეთი გემრიელი ხორცი ჯერ არ ეჭამათ.

### ლორი... საპრიზო ადგილზე!

თურმე ამერიკელები კატისა და ძაღლის შემდეგ ყველაზე საყვარელ შინაურ ცხოველად ღორს მიიჩნევენ. ყოველ მეათე ოჯახს ვიეტნამური ჯიშის ღრუტუნია ჰყავს. მინიატურული ექსკილოგრამიანი სიმპათიური ღორები მართლაც რომ ოჯახის მშვენებას წარმოადგენენ.




ჩვენს ნორჩ მკითხველს ვთავაზობთ ცდებს, რომლებიც, გარდა იმისა, რომ ქიმიის უფრო ღრმად დაუფლებას უწყობენ ხელს, შეიძლება, ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც გამოადგეს. ამ ცდების დაყენება შეიძლება ქიმიის წრეშიც და საშინაო ლაბორატორიაშიც. მათ ერთი დიდი ღირსებაც აქვთ — თუ სწორად დააყენებთ, სავსებით უხიფათონი არიან.

მაშ, ასე, ვიწყებთ:

## აქვარელის საღებავები

ძველ წიგნებში გვხვდება ეგზოტიკურ საღებართა სახელწოდებები: წითელი სანდალოზი, კვერციტრონი, ჰიაფერი, სეპია, ბაყმის ხე... ამ საღებართაგან ზოგს ახლაც იყენებენ, ძირითადად, სამხატვრო საღებავების დასამზადებლად.

ჩვენც ვცადოთ...

ყველა საღებარს ერთი და იმავე მეთოდით დავამზადებთ: მცენარეს ან მის რომელიმე ნაწილს დავაქუცმაცებთ და დიდხანს ვადუღებთ წყალში კონცენტრირებული ნახარშის მიღებამდე. ნახარში საკმაოდ სქელი უნდა იყოს. მშრალი საღებრის გამოყოფა არ დაგვჭირდება — ჩვენ ხომ, სულერთია, წყალში ხსნადი საღებავი უნდა დავამზადოთ.

დავიწყოთ წითლით. იგი შეიძლება კრაზანას ღეროს (ნახარში უნდა შევამჟაოთ) ან ენდრონიკის ფესვისაგან მივიღოთ.

მურყნის ქერქი რამდენიმე დღით წყალში ამყოფეთ, მერე კი მოამზადეთ ნახარში. მიიღებთ ისევ წითელ საღებარს. მისი მიღება ცხენის მჟაუნას ფესვებისგანაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში მზა ნახარშისათვის მცირეოდენი ალუმინის შაბის დამატება დაგჭირდებათ.

ცნობილი მცენარის — კულმუხოს (ისიც, კრაზანასავით, სამკურნალო მცენარეა) ფესვებისაგან ლურჯ საღებარს ღებულობენ. ამისათვის ფესვები ჯერ ნიშადურის სპირტში — ამიაკის წყალხსნარში უნდა გავაჩეროთ. ლურჯი საღებრის მიღება დეზურას ყვავილებისა და ჩიტის წიწიბურას ფესვებისგანაც შეიძლება.

მწვანე საღებარს სამყურას ფოთლებისაგან ღებულობენ. ნახარშის მომზადებამდე ისინი უნდა დააქუცმაცოთ.

ყვითელს ბევრი მცენარე იძლევა: სამღებრო კურდღლისცოცხა, თხილი (ქერქი), ხეჭრელი მურყანი (ქერქი, ფოთლები, ნაყოფი), ენდრონიკა (ყვავილები). კოწახურის ნაყოფისაგან მიიღება ლიმონის ელფერის მქონე ყვითელი საღებარი.

თუ წყალში ხახვის ბოლქვის მშრალ კანს მოვხარშავთ, მივიღებთ სხვადასხვა ელფერის ყავისფერ საღებრებს — თითქმის ყვითელით დაწყებულს და მუქ-ყავისფერით დამთავრებულს.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ მოცვი და მაყვალი იისფერ საღებარს შეიცავენ. იგი ძალზე მდგრადი არ არის, მაგრამ აქვარელის საღებავებისთვის სავსებით გამოსადეგია.

შავი პიგმენტის მისაღებად შეიძლება მოვამზადოთ დათვისყურძნის კენწრისა და ფესვების ნახარში. მაგრამ არის უფრო მარტივი მეთოდიც: ადრე მიღებულ რომელიმე ნახარშს დავუმატოთ რკინის აჯასპი. თითქმის ყველა ჩვენი ნახარში შეიცავს ტანინის ტიპის სათრიმლავ ნივთიერებებს და ორვალენტიანი რკინის მარილების თანაობისას ისინი შავდებიან.

ახლა დავამზადოთ აქვარელის საღებავი. მისი მთავარი შემადგენელი ნაწილები საღებარი და წყალია, მაგრამ არსებობს სხვა აუცილებელი კომპონენტებიც, რომლებიც საღებავს ქაღალდზე ამაგრებენ, მაგალითად, გუმიარაბიკი ან ხის წებო. საჭიროა მჭიდა ნივთიერებებიც, ისინი ხელს უშლიან ქაღალდზე საღებავის გადღაბნას და აიძულებენ, დაეფინოს თანაბარ ფენად (თაფლი, ბადაგი, გლიცერინი). და ბოლო დანამატი — ანტისეპტიკი და მადეზინფიცირებელი ნივთიერება: ჩვენ ხომ საქმე მცენარეულ ნივთიერებასთან გვაქვს, ისინი კი უთუოდ უნდა დავიცვათ მიკროორგანიზმებისაგან, ვთქვათ, ობის სოკოებისაგან.

ყოველი ფერის საღებავისათვის დაახლოებით 50%-იანი კონცენტრაციის მქონე 5-7 მლ წებოს ხსნარი მოამზადეთ და იმავე რაოდენობის გლიცერინს ან დაახლოებით სამჯერ ნაკლებ თაფლს შეურიეთ. ანტისეპტიკის როლს ფენოლი შეასრულებს — მისი 5%-იანი ხსნარი, კარბოლმჟავას სახელწოდებით, აფთიაქებში იყიდება. საჭიროა რამდენიმე წვეთი.

მომავალი საღებავის ყველა კომპონენტი ერთმანეთში აურიეთ. საღებავის საფუძველი უკვე მზადაა, მას მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი რამ—საღებარი აკლია. იგი დაუმატეთ სულ ბოლოს, სქელი ნახარშის სახით, დაახლოებით იმავე რაოდენობით, რამდენიც საღებავის საფუძველი გამოგივიდათ.

აი, ესაა მთელი პროცედურა. ახლა მოდექით და ხატეთ.

ბირველი იქნება თუთიყუში

არა დელფინი და არა შიმპანზე, არამედ თუთიყუში — აი, ვინ იქნება, ალბათ, ცხოველთაგან პირველი, რომელსაც შეუძლია დიალოგი გამართოს ადამიანთან. პადუის უნივერსიტეტში ცხოვრობს ალექსი — აფრიკული ნაცრისფერი თუთიყუში, იგივე ჟაკო, რომელსაც ირენ პაპერბერგმა 6 წელიწადში შეასწავლა ადამიანთან კონტაქტის დამყარება. ამჟამად თუთიყუშს შეუძლია მოითხოვოს ან უარი თქვას არანაკლებ 50 საგანზე. იგი ადამიანურ ენას იყენებს, შეუძლია სხვადასხვა საგნის დასახელება. ალექსი განუწყვეტლივ იმდიდრებს სიტყვების მარაგს.

სწავლების მეთოდი ასეთი იყო: თუთიყუშს აჩვენებდნენ რაიმე საგანს, შემდეგ კი ეუბნებოდნენ სახელს. ფრინველმა მალე დაიმახსოვრა საგნების სახელები. იმ მიზნით, რომ თუთიყუშისთვის ესწავლებინათ, მოეთხოვა ესა თუ ის საგანი,



ორი ადამიანი მის წინ მართავდა წარმოდგენას: ერთი ითხოვდა საგანს, მეორე კი აწვდიდა მას. შემდეგ მასწავლებელი სთხოვდა თუთიყუშს, გაემეორებინა ეს სახელი, და თუ სწორად უპასუხებდა, მას ამ საგნით აჩუქრებდნენ. ყოველივე ეს გვაგონებს იმას, თუ როგორ ასწავლიდა რობინზონი ლაპარაკს თავის ერთგულ მსახურს — პარასკევას. ირენ პაპერბერგის თქმით, მან მიზანს იმით მიაღწია, რომ იყენებდა იმ საგნებს და სათამაშოებს, რომლებიც აინტერესებდა ფრინველს და, სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებით, არ აჯილდოებდა თუთიყუშს რაიმე საკვებით.

უცნაური ტბა

ალბათ, ჩვენი ქვეყნის ძალზე ბევრი მცხოვრები იცნობს ბარენცის ზღვის, ატლანტის ოკეანისა და თეთრი ზღვის ვირთევზებს. მათ დიდი რაოდენობით იჭერენ, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ კუნძულ კილდინზე, რომელიც ბარენცის ზღვაში მდებარეობს, არის



ტბა „მოგილნოე". მასში ბინადრობს ვირთევზა, მას განსაკუთრებული სახელი ჰქვია — კილდინური. ტბა კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილშია, ზღვასთან ახლოს, იგი არცთუ დიდია, მაგრამ საკმაოდ ღრმაა, დაბალი ნაპირები აქვს და წყლის შედგენილობით ძალიან განსხვავდება სხვა ტბებისაგან. კოლის ნახევარკუნძული ოდესღაც ზღვის ფსკერი იყო. შემდეგ, გამყინვარების პერიოდში, კაჭარისა და ქვიშის ზღუდარმა გამოჰყო ტბა ზღვისაგან და დამყარდა იშვიათი წონასწორობა ატმოსფერული ნალექებისა და ნიადაგქვეშა წყლებისაგან მიღებულ და ზღუდარის გავლით (ფილტრაციის გზით) შემოსულ მლაშე წყლებს შორის. ზედა ფენა ჩვეულებრივი მტკნარი წყალია, მეორე — ნახევრად მლაშე, ხოლო მესამე — ზღვის მლაშე წყალი. სწორედ ამ ქვედა ფენაში ბინადრობს კილდინის ვირთევზა, რომლის სიგრძე 80 სმ-ს აღწევს.

# ჟურნალ „ნაკადულში" 1990 წელს დაბეჭდილი მასალების საძიებელი

## პროზა, დრამატურგია


ვლ. ასლამაზიშვილი — თეთრი უდაბნო მთებში, № 1; ორი მოთხრობა, № 7; ორი მოთხრობა, № 12.
ნ. ლონდარიძე — ზღაპრები, № 1; გალია, № 9.
ვ. მიროშნიჩენკო — დედამიწის ტყვეები, № 1.
ე. მერაბიშვილი — ხატის კაცი, №№ 2-4.
მ. ბელაშვილი — გამარჯვებული დამარცხებული, № 2; ჩემი სახელი ახსენე და... №№ 11-12.
ე. პერმიაკი — ჯადოსნური სალებავები, № 2.
დ. ჩაჩიბაია — ყვავილების გადარჩენა, № 3.
ი. ერმოლაევი — ჩვეულება მაქვს ასეთი, № 3.
გ. ხეჩუაშვილი — ლამაზი კუნძული, № 4.
ჯ. ბერიოლტი — გულქვა ბიჭი, № 4.
დ. ლობჟანიძე — გასროლა ნაკრძალში, №№ 5-8.
ბ. ჯანდიერი — ცუგა, № 5.
ნ. ბეზარაშვილი — გალობა, № 5.
ე. ბენედეკი — მოლაპარაკე გამოქვაბული № 5; ზღაპრები, № 7.
ვლ. ბერიაშვილი — კლდებიჭა, № 6.
ლ. ანტარჯანამი — ზღაპარი პატარა ანგელოზზე, № 6.
ნ. ქადაგიძე — რატომ ფხიზლობს გულისაბა ღამით, № 8.
შ. ჯექსონი — უმორჩილესად მაპატიეთ, № 8.
ფ. ქაჩლიშვილი — გეომეტრია, № 8.
ალ. ლორია — ფუძე, № 9-11.
მ. კოზლოვსკაია — საავადმყოფო ფურცელზე, № 9.
ე. ქაშიაშვილი — ჯეჯიმი, № 10.
ფ. ბევკი — მოთხრობები, № 10.
გ. პრუტიკოვი — დღესასწაულებზე, № 11.
ა. აზიმოვი — როგორც თევზი — წყალში, № 12.


## პოეზია


ს. შამფრიანი — ლექსები, № 1; რას ამბობს ცხენისწყალი, № 3, ლექსები, № 9.
გ. კლდიაშვილი — ლექსები, № 1.
ბ. ჭიჭინაძე — მეტროს ჩიტები, № 1.
რ. ლორია — ლექსები, № 1.
ლ. ხოშტარია — ლექსები, № 1.
ნ. ჭედია — მეტიტინება ერთი პატარა, № 1; ლექსები, № 8.
ა. აბულაშვილი — ლექსები, № 2; კვლავ ძველებურად, № 5.
ლ. ცქვიტიშვილი — ლექსები, № 3.
ი. მამფორია — ლექსები, № 3.
ალ. დიდებაშვილი — ხმა მომავლისა, № 4.
პ. სულთანიშვილი — ლექსები, № 4.
ნ. აფხაზავა — ძახილი წარსულიდან, № 5; ნატვრა, № 6.
გ. მეტრეველი — ლექსები, № 5.
ა. ბურბენიძე — ლექსები, № 5.
ნ. შამანაძე — ლექსები, № 6.
ე. დიდიმამიშვილი — ლექსები, № 6; ლექსები, № 11.
ვ. ხორნაული — ლექსები, № 6.
ლ. ბობებაშვილი — ლექსები, № 8.
თ. კობერიძე — ლექსები, № 9.
ზ. ათანელაშვილი — მომავლის იმედი, № 10.
ა. მებრელიშვილი — ლექსები, № 10.
გ. პეტრიაშვილი — ლექსები, № 11.
გ. წერეთელი — ლექსები, № 12.
ჯ. ჯიმერი — ლექსები, № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## წერილები, ნარკვევები, სხვა მასალები

ნ. ხარაზიშვილი — ზღვა უხმობს ვაჟკაცებს, № 1; უკან მრჩეს კვალი განათლებული, № 6; მივუახლოვდეთ ბუნებას, № 9; „სქაუთი" მეგობარსაც ნიშნავს; № 10; უყურე სამყაროს ბავშვის თვალით, № 11.

ნ. ფავლენიშვილი — იმედით, შთაგონებით, გზნებით, № 1; ერის მომავალი მოითხოვს, № 7; შთაბერე ყრმასა ძლიერი სული, № 8; თუ სიყვარული არა გვაქვს გულში, № 12.

გ. გეგეჭკორი — აკაკი წერეთლის ცხოვრება, №№ 1-10.

ნ. აფხაზავა — გზა დიდი რინგისაკენ, № 1; სკოლა — ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი, № 2.

ვ. სიდამონიძე — ანიკეტი, № 1; კონსტანტინე კახაი და თარხუჯი, № 3; ზურაბ სააკაძე, № 5; ნესტან-ჯავარი, № 7; ა. ლაისტის სიტყვა აკაკისადმი, № 10; ი. გოგებაშვილი, ხალხური სიტყვიერების მოამაგე, № 11.

მარილი და საოჯახო პრობლემები, №№ 1, 2.

მ. კარბარეთელი — ავწონ-დავწონოთ ყველაფერი, № 2.

მ. ზაალიშვილი — სიმები ჩვენ ვართ ყველაო, № 2.

რ. წიქვაძე — საუბრები რელიგიაზე, №№ 2, 3, 5, 7.

ზ. სარჯველაძე — რა განძი გვქონია, №№ 2, 4, 5, 8, 9, 11.

ბ. ბარჯაძე — ყაბახი, № 2; ქართული ცხენოსნური თამაშები, № 5; ქართული ჭიდაობა ერის ღონეა, № 9.

რ. ილაშვილი — მეგობრებისაგან უნდა ვისწავლოთ, № 2.

თ. ცაბარელი — თორელები, № 3.

საკუთარ თავსაც მოვთხოვოთ, № 3.

ა. კარბელაშვილი — ალფრედ ნობელი, № 3.

სამყარო უფრო ხნიერი უნდა იყოს, № 3.

ა. ჩხარტიშვილი — თირის მონასტერი, № 3; ლიხნეს ტაძარი, № 9; კუმურდო, № 12.

ლ. ცქვიტიშვილი — როცა ზამბარა გაიშლება, № 4; უპირველესი განძი, № 11.

ჯ. კასრაძე — შესანიშნავი შვიდეული, № 4.

ნ. ზამანაძე — აკაკი და ხალხური საუნჯე, № 4.

თ. გოგოლაძე — ვინც გონიერად იქცევა, № 4.

ნ. დვანელი — ასე ნანატრი თავისუფლება, № 4.

კლიმატი 21-ე საუკუნეში, № 4.

პროფესიონალიზმი — უპირველეს ყოვლისა, № 5.

მ. გელაშვილი — მწვანე სიცოცხლის ფერია, № 5; ახალი საბავშვო ფილმი, № 12.

მ. კერძევაძე — „ჯეჯილი" — 100, № 6.

ნ. ღვინერია — ვის მიუძღვნა აკაკიმ „ჩანგური", № 6.

ი. გოგებაშვილი — ბიბლიური ისტორია, №№ 6-12.

დ. გოზალიშვილი — სპელეოლოგია და სპელეოტურიზმი, № 6; ხვანური კოშკების სამყაროში, № 12.

საუბარი კობა იმედაშვილთან, № 7.

თ. გაგოშიძე — საყვარელი ადამიანის ხსოვნას, № 7.

ტ. ხავთასი — ცეკვავს „ივერია", № 7.

ივარჯიშეთ ჯანმრთელობისათვის, № 7.

საუბარი ქ. ბაბაშვილთან, № 8.

შ. მარკოზაშვილი — აკაკი და „ნაკადულის" რედაქცია, № 8.

გ. თაქთაქიშვილი — ეკოლოგია და ფუტკარი, № 8; ფუტკრის პროდუქტების სასარგებლო თვისებები, № 10.

მუსიკალური ნოტი, № 8.

გამოვიგონოთ სკამი, № 8.

ზ. ჭუმბურიძე — ჩვენი დიდი წინაპარი, № 9; „დედა ენის" ბურჯი, № 10.

ვულოცავთ! — № 9.

ნ. ლელაძე — ხეფაშვილების ტრიოს შესრულებით, № 9.

შევკრიბოთ ხალხური საუნჯე, № 9.

საუბარი გ. მურღულიასთან, № 10.

დიდი კომპოზიტორის ცხოვრებიდან, № 10.

ქართული ხალხური თამაშობები, დანახობია, № 10.

## განყოფილებები

ა ი ს ი — №№ 1-12.

თანამედროვე რიტმები — №№ 1, 2, 5, 6, 8, 10, 11, 12.

მაღალი ზნეობის გაკვეთილი — № 1, 6, 7, 10, 11, 12.

საინტერესო სიახლენი — № 1, 2, 4, 5, 6, 8-11.

გამოგადგება — № 1-11.

ცხრაკლიტული №№ 1-12.

გამოჩენილი ადამიანების ღიმილი, №№ 2, 5, 10.

კოცონი № 2, 3.

მხედრიონი — № 2, 5.

ჯადოსნური სარკე — № 2, 4, 5, 6, 8-12.

ქსოვა — № 2.

თურმე — № 5.

ჩვენი სამზარეულო — №№ 6-12.

ინფორმაცია განსჯისათვის — № 7, 10.

იცით თუ არა, რომ... — № 7.

სახალისო ქიმია — № 7, 8.

უცხოური იუმორი — № 8, 11.

საინტერესო თემაზე — № 8.

ბუნების კარი — № 10, 11, 12.



## ამინდის წინასწარმეტყველი

ოქროს ბურთულები ვერცხლის ძაფში — ვითომც ჯადოქარმა იუველირმა შექმნა არნახული სამკაული! სინამდვილეში ყველაფერი გაცილებით უფრო მარტივია. ობობამ გაშალა თავისი საჭერი ბადე და მოთმინებით ელოდება, როდის მოხვდება შიგ ნადავლი.

ობობებს არ შეუძლიათ არსებობა აბლაბუდების გარეშე. აბლაბუდის კეთება რთულია: ამას სჭირდება მუცელში არსებული სპეციალური ჯირკვლები, მუცლის დაბოლოებები, რომლებიც მეჭეჭებადაა ქცეული და გამოყოფს სეკრეციას, აგრეთვე მოქნილი მუცელი, რომლითაც მწერი უზრუნველყოფს ნაქსოვის რთულ ნახატს. ობობას აქვს სავარცხლისებური კლანჭები და ჯაგრი ქსელის დასავარცხნად.

ჩვეულებრივ, ეს ობობები შხამიანია. შხამიანი ჯირკვლების დახმარებით ისინი ჰკლავენ ბადეში მოხვედრილ მსხვერპლს.

შხამი რომ არ ჰქონოდა, მტაცებელს მარტო ქსელი არ უშველიდა: ქსელში მოხვედრილი მსხვერპლი სწრაფად გაგლეჯდა მას.

მეცნიერება 20 ათასზე მეტი სახეობის ობობას ითვლის. მათ, სხვათა შორის, შეუძლიათ ამინდის წინასწარმეტყველება.

„ქსელის მიხედვით, — წერდა ლ. ტოლსტოი, — შეგიძლია გამოიცნო, როგორი ამინდი იქნება. თუ ობობა ქსელის ცენტრშია გარინდული და არ მოძრაობს, წვიმაა მოსალოდნელი. თუ იგი ბუდიდან გამოდის და ახალ ქსელს ქსოვს, კარგ ამინდს უნდა ელოდო". საქმე ისაა, რომ ობობა ადამიანზე უკეთ გრძნობს ტენიანობის მომატებას.



# სარჩევი


ნ. ფავლენიშვილი — თუ სიყვარული არა გვაქვს გულში (ნარკვევი) . . . . . . . . გარეკ. 1
მ. გელაშვილი — ჩემი სახელი ახსენე, და... (მოთხრობა) . 2
გ. წერეთელი — ლექსები . . . . . . . 8
ჯ. ჯიმერი — ლექსები . . . . . . . 8
ა. გურგენიძე — ლექსები . . . . . . . 9
მაღალი ზნეობის გაკვეთილი . . . . . . . 10
ვლ. ასლამაზიშვილი — ნისლი: უჩინარი ძალა (მოთხრობები) . . . . . . . . 10
დ. გოზალიშვილი — სვანური კოშკების სამყაროში (ნარკვევი) . . . . . . . . 15
მ. კარბარეთელი — გოგონა და დელფინი (წერილი) . . 18
ა. აზიმოვი — როგორც თევზი—წყალში (ფანტასტიკური მოთხრობა) . . . . . . . . 20
აისი . . . . . . . . 25
ი. გოგებაშვილი — ბიბლიური ისტორია . . . . . 26
თანამედროვე რიტმები . . . . . . . 27
ჩვენი სამზარეულო . . . . . . . 28
გამოჩენილი ადამიანების ღიმილი . . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . 29
ბუნების კარი . . . . . . . . . 30
წლიური საძიებელი . . . . . . . . . 30
ამინდის წინასწარმეტყველი (წერილი) . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . გარეკ. 3


გარეკანის 1-ლ გვერდზე — მხატვრობა ჯემალ ლოლუასი


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა, (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, ბაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჟუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ბელინსკის ქ. № 2, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ.მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 25. 09. 90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 11. 90 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 2068. ტირაჟი 117000 ეგზ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"-ს სტამბა.
380096 თბილისი, კოსტავას ქ. № 14

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ

«Накадули» журнал для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Костава, 14.
Отпечатано в типографии газетно-журнального издательства Грузии «Самшобло».
Формат $60 \times 90^1/_8$, учетно-изд. л. 3, усл. печ. л. 5,85.
Тираж 117.000 экз. Цена 20 коп.


© „ნაკადული", 1990 წ.

## კროსვორდი

თარაზულად: 3. რაიმე მოქმედების, საქმიანობის შეთანხმება; 5. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე, აქვს იისფერი, წითელი ან თეთრი უსუნო ყვავილი; 10. არომატული ნივთიერებანი და ნაწარმი, რომელსაც იყენებენ ჰიგიენური და კოსმეტიკური მიზნით; 13. ზოგი მცენარეული ორგანიზმის მიკროსკოპული ჩანასახი; 15. სპეციალური მოწყობილობა ნიღბითურთ — მომწამლავი აირისაგან თავის დასაცავად; 16. ჯგუფი, კრებული; 17. უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას; 18. ძველებური ორთვლიანი საზიდარი; 19. სოფელი გორის რაიონში; 20. დიდი ფართობი, სადაც მოჰყავთ სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ მოვლას; 23. სოფელი მარნეულის რაიონში; 24. მაგარი სათბობის ხელოვნურად გარდაქმნა საწვავ გაზად; 25. დროის საზომი შვიდდღიანი ერთეულის მეშვიდე დღე; 27. საგაზაფხულო თესლის სპეციალური დამუშავება.

შვეულად: 1. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 2. პატარა ძაღლი, რომელსაც გრძელი ტანი და მოკლე ფეხები აქვს; 4. ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი; 6. მოკლე ქვედა საცვალი, აგრეთვე სპორტული ან საცურაო შარვალი; 7. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის; 8. რისამე გამგზავნი, დამგზავნი, მიმწოდებელი; 9. გულის მოძრაობის გრაფიკული გამოსახულება; 11. სუბტროპიკული ხე; 12. ორგანიზებული გამოყვანა ადამიანებისა იმ ადგილებიდან, სადაც რაიმე საფრთხეა მოსალოდნელი; 14. საშუალო სიმაღლის ხე, აქვს კურკიანი, წვნიანი, შებუსული ნაყოფი; 16. მსახიობის სახის შეცვლა სპეციალური საღებავებით; 20. ზღვის დონიდან შედარებით მაღლა მდებარე ვაკე; 21. სპორტული თამაშის ხანგრძლიობის გარკვეული ნაწილი; 22. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა; 25. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 26. მდინარე დაღესტნის ასსრ-ში.



შეადგინა ალ. გორგიშელმა



## შარადები

წუთის მესამოცედია,
უმალვე იტყვი, მჯერა,
შუა ჩაუსვი მეექვსე
მუსიკალური ბგერა
და ჩანაფიქრი შარადის
პასუხს მიიღებ ხელად.

●

მოკლე და კაუჭა ნისკარტი,
ბრჭყალები — ბასრი და გრძელი.
იმ ოთხი ბგერიდან კიდურის
შეკვეცაც როდია ძნელი.
მეორე ნემსშია გაყრილი,
ის პირველ თანხმოვანს
იკლებს, —
დევივით ტანადი ხე არის,
ტყეებში გინახავთ, იქნებ.

●

„ის იყოსო, თორემ ბუზი
ბაღდადიდან მოვა.“
ანდაზიდან აიმ სიტყვას
უცვლი პირველ ხმოვანს,
ხოლო მერე ბოლოს წინა
ბგერას თუკი წაშლი,
ცეცხლსასროლი იარაღის
სახელია მაშინ.

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

ჰგავს ღედამიწას ფორმით,
სულ პატარაა — მყარი,
თუ გატყდა, გადმოიღვრება
ტბა შიგ მცურავი მთვარით.

●

შიგნით ველარ დატეულა,
უკარფანჯრო ციხეს ამტვრევს,
თავს დაიხსნის იმ ციხიდან
და მთვრალივით დაფარფატებს.

ჯ. ჯიმერი

●

რბილია, რკინა არ არის,
თუმც მახვილია ძლიერ,
ამ ქვეყნად არვინ მინახავს
დაჭრილი იმის მიერ.

●

ძნელია მისი დაჭერა,
მაგრამ თუ ერთხელ ეუფლე,
გახდები კაცი უძლევი,
ქვეყნიერების მეუფე.

გ. ზედელაშვილი

●

ის კალატოზია მფრინავი,
თეთრი გულისპირი ამშვენებს,
სახლების კედლებზე ბუდეებს
მკვიდრად და ნატიფად
აშენებს.

●

ცხოვრებაში წარმატების
გზით მავალი იქნები,
მეგობრებად თუ გეყოლა
ყოვლისმცოდნე .....

შ. შოთაძე

## პასუხი 1990 წლის № 11-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

### კროსვორდი

თარაზულად: 7. არაქისი; 8. ქალამანი; 9. ტერიტორია; 10. ასისტენტი; 11. ანტიპათია; 13. კაფე; 15. სვია; 18. მოდიფიკაცია; 19. აქცენტუაცია; 20. აპკი; 24. იაკი; 26. ლექსიკონი; 29. ჩარკვიანი; 30. დომინიონი; 31. ექსპერტი; 32. ლინკოლნი.

შვეულად: 1. ბადრაგა; 2. მიკრონი; 3. სირაჯი; 4. ოქტავა; 5. ალქიმია; 6. ანანასი; 12. პალიასტომი; 14. ერმიტაჟი; 15. „სპარტაკი“; 16. დისნეი; 17. გაიდაი; 21. პატრუქი; 22. ბედაური; 23. უნამუნო; 25. კოლომნა.

### გამოცანები

ახალი წელი, ტყვია, ციყვი სეტყვა, გზა, წიგნი, ციცინათელა.

### სახალისო ამოცანები

1-ლ ყუთში — 103, მეორეში — 117 კგ; 540 მან.

### შარადა

მრავალი, ძარღვი, მრავალძარღვა.

6 162/26



ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76157